დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის - სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ლევან მადათოვი** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ზაზა ჭანტურია ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო ბურჯალიანი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

შორენა გაგნიძე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნათელა ბასილია უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ლამზირა აფაქიძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნონა გამხიტაშვილი ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ილონა აკობია სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნატო გერგაია მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მარინა ანესაშვილი სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნათია ბრეგაძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I.

შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239884988

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი
იურიდიული მისამართი	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი
ფაქტობრივი მისამართი	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოქალაქევი
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nokalakevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591818042

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 19 ივნისის №719359 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 11 და 12 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფელი ნოქალაქევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო		
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო		

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 19 ივნისის №719359 ბრძანების საფუძველზე, 2023 წლის 11 და 12 ივლისს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში (მისამართი: სენაკის მუნიციპალიტეტი სოფელ ნოქალაქევი) ,, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ხოლო ჯგუფის სხვა წევრებმა შეფასების პროცესი განხორციელეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით სკოლაში არსებულ 8 საგნობრივ კათედრასთან გასაუბრებით. ადგილზე მყოფი ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას, პასუხისმგებელ პირებს, პედაგოგებს, დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში, ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო პროცესის ძირითადი მიგნებები სკოლის ადმინისტრაციას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრული**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	პირად საქმეებში არ არის სრულყოფილად განთავსებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის ცნობები. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.09.2023)**
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურთან; **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.10.2023)** არ არის წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა; **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.12.2023)**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობივი შესაბამისობისა.

		არ არის წარმოდგენილი დასკვნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (31.10.2023)**
3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას არ აქვს გარე უსაფრთხოების კამერები. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.12.2023)**
3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა / ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას არ აქვს ვებგვერდი **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.09.2023)**
3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი / ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	
3.6.3.5.	ვებ გვერდი / ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	

VI. რჩევა

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
		სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად
		სასურველია სკოლას ჰქონდეს დამატებითი ეკონიმიკური შემოსავლები, შესთავაზოს მოსწავლეებს კვების მომსახურება და გასცეს იჯარით ფართი
		სასურველია შეიქმნას დოკუმენტი რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ერთიან აღწერას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს: სკოლის მისიაა - მოზარდის კულტურული, სოციალური და პიროვნული და აკადემიური განვითარებისათვის ეფექტური, უსაფრთხო გარემოს შექმნა; ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის ფორმირება; მოზარდთა სულიერი განვითარება, სამოქალაქო და სამართლებრივი აღზრდა, დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბება.ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელი გარემოსა და პირობების შექმნა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის მისიითა და ხედვით განსაზღვრულია, რომ სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია უსაფრთხო პოზიტიურ გარემოზე რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკოლის განვითარებისა და წარმატებებისთვის. სკოლამ რომ შეძლოს დასახული მიზნის გამჭვირვალედ და სწორად განხორციელება,რაც ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე, ამისათვის აუცილებელია მაღალი პროფესიონალიზმი, საკუთარი უნარებისა და გამოცდილების გაზიარება, მუდმივი პროფესიული ზრდა,რომ უპასუხონ თანამედროვე მოთხოვნებს და აღზარდონ მოსწავლეები 21 საუკუნის 8 კომპენტენციის შესაბამისად. ამ ყველაფრის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ შიდა

და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ერთობლივი ძალისხმევითა და პროექტული სწავლებებით. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა და ადგილობრივ თემთან თანამშრომლობა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების პროექტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო მთლიანად სასკოლო საზოგადოება.სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი,რომელიც თანამშრომლობდა,სამეურვეო საბჭოსთან,პედაგოგიურ საბჭოსთან ,დისციპლინარულ კომიტეტთან,მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ურთიერთთანამშრომლობისა და შეთანხმების საფუზველზე მოხდა სკოლის მისიის,ხედვის და ღირებულებების განსაზღვრა. დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმებით და სამუშაო მასალებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სამუშაო ჯგუფი თანამშრომლობდა სასკოლო საზოგადოებასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მათი მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა მისიის,ხედვის და ღირებუებების განსაზღვრისას. რაც ასახულია შეხვედრების მასალებსა და სხდომის ოქმში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია ვებგვერდი, თუმცა სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, გამოკრულია საჯაროდ დაწესებულების შენობაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- საჯარო სკოლის წესდება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და მის შედგენაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მეთოდოლოგია და შიდა სასკოლო ჯგუდი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სადაც აღწერილია განსახორციელებელი ამოცანები, მისი განხორციელების მექანიზმები და გზები. რაც ორიენტირებულია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად, მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ადამიანური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება, სასწავლო პროგრამების განხორციელება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვა. აღნიშნული სტრატეგიული გეგმა პერიოდულად გადაიხედება და ჩატარდება მონიტორინგი, მოხდება საჭიროებისამებრ გადახედვა და განახლება. **ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო სტრატეგიული გეგმის პროექტი, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოედგენის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 8 სექტემბრის №180 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას აქვს 1 წლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; წლის ბოლოს მოხდება სამოქმედო გეგმის შეჯამება სამეურვეო საბჭოზე სასწავლო პროცესისა და ფინანსური ანგარიშგების დროს. სადაც შეჯამდება გეგმით გათვალისწინებული როგორც განხორციელებული, ისე განუხორციელებელი **სამუშაოები. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო სამოქმედო გეგმის პროექტი, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს, დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 8 სექტემბრის №181 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა.**

4. . სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება 168, 11.07.2023 სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის ა და შიდა სასკოლო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპზე სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს სრულყოფილად მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. როგორც ინტერვიურებისას აღინიშნა, სკოლა წლის ბოლოსთვის გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნას და მოხდება სკოლის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს მკაფიოდ გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები რითაც შემოწმდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხი მაგრამ სკოლაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაკვირვება და ხდება კათედრებზე უკუკავშირი და შეჯამება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედეგები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. წლის ბოლოს 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა როგორც ინტერვიუზე აღინიშნა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და რევიზიის შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი საქმიანობისათვის. სკოლაში

სასწავლო პროცესის მონიტორინგისთვის ხდება გაკვეთილებზე დასწრება, კათედრებზე განხილვა, ანალიზი და უკუკავშირი, ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი. პრობლემებთან დაკავშირებით, ისახება მისი აღმოფხვრის გზები. ხდება პრევენცია და გათვალისწინებულია ინტერვენცია **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება 168, 11.07.2023 სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიისა და შიდა სასკოლო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
- ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ცალკე დოკუმენტი რომელშიც აღწერილია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები არ არის, თუმცა სკოლის ძირითადი თანამდებობების ფუნქციები გაწერილია სკოლის წესდებასა და შინაგანაწესში, ნაწილი მათ შრომით ხელშეკრულებებში. ასევე წარმოდგენილ იქნა რამდენიმე პერსონალის ფუნქციები. სკოლის პერსონალი შედგება შემდეგი თანამდებობებისგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ექიმი, ბიბლიოთეკარი, სპეციალური მასწავლებელი, დამლაგებლები და დარაჯები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. თუმცა სასურველია შეიქმნას დოკუმენტი რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ერთიან აღწერას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის წესდება
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანსიის არსებობისას იქმნება კომისია და ვაკანსია ცხადდება საჯაროდ teacherjobs.ge ზე ან/და hr.gov.ზე **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სკოლას შემუშავებული შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ქმნის საჭიროებებზე დაფუძნებულ პერსონალის შერჩევის მექანიზმებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით ,სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ობიექტურობის ,გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავებულია თანამშრომელთა კონკურსის ჩატარების წესი. პირად საქმეებში არ არის სრულყოფილად განთავსებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის ცნობები. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

შესაბამისობის რეკომენდაცია:
დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.09.2023)

4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს რაც გათვალისწინებულია კადრების შერჩევის დროს წამოყენებულ მოთხოვნებში და დასტურდება პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
5. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში, პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; სკოლაში შრომით რესურსებს მიეკუთვნებიან მასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები, ტექნიკური პერსონალი, სხვადასხვა პროფესიის და კვალიფიკაციის ადამიანები რომლებიც ურთიერთთანამშრომლობენ გუნდური მუშაობის და გაზიარებული ლიდერობის პრინციპით და მათი შეთანხმებული საქმიანობა განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
6. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, მაგალითად კათედრების შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობა, საუკეთესო მაგალითის გაზიარება, უკუკავშირი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რაც დგინდება მათი მუშაობის დაკვირვებისა და მონიტორინგის შედეგად; **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში,პერსონალის განვითარების საჭიროების დადგენის შემდეგ ,პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;ხდება მათი დარეგისტრირება სხვადასხვა ტრენინგებზე,საჭიროების მხრივ.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა,ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას და კარიერულ ზრდას,სხვადასხვა ტრენინგების,ვებინარებისა და ქოუჩინგის საშუალებით.სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას და გაწერს იმ აქტივობებს რაც ხელს შეუწყობს მისი კვალიფიკაციის ამაღლებას და განვითარებას.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა, უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან,მათ ადაპტაციასა და სოციალიზაციას ახალ გარემოსთან,ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ახალ სამუშაო გარემოსთან შეგუების პროცესს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.განსაზღვრულია ფინანსური და არაფინანსური მოტივაციის სტრატეგიები რაც სკოლის შინაგანაწესითაა განსაზღვრული.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა არის პროცესებზე ორიენტირებული. საგანმანათლებლო პროცესების მსვლელობისას ცხადია იქმნება გარკვეული დოკუმენტები. სასკოლო სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია), რომელიც პროცესების კვლევას და მათ შემდგომ განვითარებას გულისხმობს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელიც აღწერილია სკოლის მიერ შედგენილ სასკოლო კურიკულუმი, შრომის შინაგანაგანაწესში. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს სკოლის მისიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მიზნების მიღწევას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, სადაც მოსწავლეებს, მშობლებსა და მის კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების გასაჩივრება კანონმდებლობის შესაბამისად.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინარული კომიტეტის ფუნქციონირებაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში,მართველობით პროცესებთან მიმართებით ხდება მონიტორინგი,ურთიერთთანამშრომლობა კათედრებზე, სასკოლო საზოგადოების წევრებისგან უკუკავშირის მიღება რაც ეფექტურია მოსაზრებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. ეს მექანიზმები შესაძლოა სხვადასხვა იყოს სხვადასხვა პროცესებისთვის. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს საკუთარი აზრის გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების, გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის საშუალება ეძლევათ სხვადასხვა მმართვის ორგანოებში ჩართულობით,მაგალითად პედაგოგიური საბჭო,სამეურვეო საბჭო,მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, აძლევს მათ სკოლის დემოკრატიული მართვის პროცესში მონაწილეობისა და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს ოქმი,
- შინაგანაწესის საჯაროობა (ფოტო)
- მშობელთა კრების ოქმი
- ინტერვიუ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო სასკოლო გარემოს, დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციების დროს შექმნილია შტაბი სადაც დეტალურადაა აღწერილი საგანგებო მდგომარეობის დროს გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები.სკოლაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი , თუმცა არ ყავთ მანდატური.სკოლას ყავს ექიმი რომელიც იცავს უსაფრთხოების ნორმებს. არსებობს საევაკუაციო გეგმა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი. განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **თუმცა, მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სამსახურთან, ასევე არ არის წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა, ასევე დასკვნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ.** ამასთან, შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, განთავსებულია ცეცხლმაქრები. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

შესაბამისობის რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.10.2023)

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.12.2023)

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (31.10.2023)

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას არ აქვს გარე უსაფრთხოების კამერები. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

შესაბამისობის რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.12.2023)

3,სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასკოლო გარემო, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4.სკოლას ყავს რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი პირი რომელსაც ევალება ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა და სათანადო რეაგირება. არსებობს რეფერირების შიდა ინსტრუქცია და ხორციელდება რეფერირების პროცედურები ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5.სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.სკოლას ყავს 4 დამლაგებელი,ყავს ექიმი.თარდება მონიტორინგი სკოლაში სისუფთავისა და ჰიგიენური ნორმების შესამოწმებლად.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

6. ვინაიდან,პერსონალური მონაცემების დაცვა ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგეს,ნოქალაქევის საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალური მონაცემები ,პერსონალურ დაცვის კანონის შესაბამისად. საზოგადოების ყველა წევრის პერსონალური მონაცემები დაცულია.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

7.სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას გააჩნია პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმი,ხელმძღვანელობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის შესაბამისად.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.ხდება მონიტორინგი,დაკვირვება და შედეგების ანალიზზე ხდება რეაგირება და ცვლილებების განხორციელება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის,
- ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,
- ბრეფერირების ბრძანება,

- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, ბრძანება სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი,
- საევაკუაციო გეგმა
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა სარგებლობის ხელშეკრულების საფეძველზე სახელმწიფოს მიერ გადაცემული აქვს მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები 16878 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 1657.42 კვ., შენობა ნაგებობას,სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი :საკლასო ოთახები,სკოლის ეზო,დერეფანი,ბიბლიოთეკა,საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია,ისტის ოთახი,ბიბლიოთეკა,სკოლის შიდა დარბაზი,იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროცესში სხვსდასხვა აქტივობებში ჩართვა და სრულფასოვანი დასვენება.სკოლა სრულადაა აღჭურვილი გამართული ინფრასტრუქტურითა და საჭირო რესურსებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები თანაბრადაა მისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.სკოლაში არსებული რესურსებით,ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით სარგებლობს სასკოლო საზოგადოება მიუკერზოებლად და თანაბრად,რაც ხელს უწყობს ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვას.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა საკმაოდ გამართულია და ქმნის ინკლუზიურ გარემოს.სასწავლო გარემოინფრასტრუქტურულად ისეა მოწყობილი რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ეფექტურად. . სკოლას გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი პანდუსები,რესურსოთახი,ადაპტირებული საპირფარეშო. სსსმ მოსწავლეების მოთხოვნილებებზე მორგებულია ინფრასტრუქტურა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**
5. სკოლის სპორტული დარბაზი, ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, სკოლის ეზო და სხვა მატერიალური რესურსი/ინფრასტრუქტურა გაზიარებულია ადგილობრივი საზოგადოებისთვის.ბიბლიოთეკა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ცოდნისა და ღირებულებების განვითარებას. უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური სახით, სკოლის მიერ დადგენილი წესით; უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით; სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა 2019 წლიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და შესაბამისად, გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; სკოლის ძირითადი რესურსებია, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შიდა აზომვითი ნახაზი
- ვიზუალური დათვალიერება
- ინვენტარიზაციის აქტი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას; სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვან წარმართვას, მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესის გახალისებას/გამრავალფეროვნებას; მასწავლებლებსა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის გამარტივებულ კომუნიკაციას. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია ლეპტოპები **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**
2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში, არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია თანაბრად მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლა უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის და არეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პირობებს, გამოყენების მიზნობრიობას და ყველას მიერ თანაბარი ხელმისაწვდომობას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორია
- ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი. საქმისმწარმოებელს თავის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილი აქვს და მის მიხედვით ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, აღნიშნული წესით შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, დავალებების შესრულების კონტროლი და გაგზავნა, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი, დოკუმენტების გადაცემა არქივისთვის ან საარქივო დოკუმენტების გამოყენება და სხვა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა, იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა და სხვა ალტერნატივები), იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: Google, office 365 და სხვა პლატფორმები. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.დაწესებულება სრულყოფილად ასახავსს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დაწესებულებას საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ გააჩნია ვებ-გვერდი. სკოლა სარგებლობს სოციალური ქსელით. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო ინფორმაციის გავრცელებას; სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია საკუთარი ვებ გვერდი. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაციას ასახავს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; დაწესებულების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენებს არსებულ საკომუნიკაციო არხებს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას ამჟამად არ აქვს აქვს ვებ გვერდი და იყენებს სოციალური ქსელის სხვა საშუალებებს. სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლა იყენებს ფეისბუქის (Facebook) გვერდს. რომელიც, საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

5. სკოლას არ გააჩნია ვებ-გვერდი **მეტწილად შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (29.09.2023)

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ
- ვებ-გვერდის არარსებობა

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის ფინანსური რესურსით ნაწილობრივ შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. ბიუჯეტის დაგეგმვისას განსზღვრულია სავარაუდო შემოსავლები,მომდევნო წლის პრიორიტეტები, სავარაუდო ხარჯები, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. დაგეგმვის პროცესი გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას, ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება, სკოლის ფინანსური მართვაზე კონტროლს ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მისი თანხმობით მტკიცდება ბიუჯეტი და სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს ბარდება ფინანსური ანგარიში. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება სხელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებით (ვაუჩერი, მასწავლებელთა სერთიფიცირების დანამატი, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და ა.შ.) 2022 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 2021 წლის 10 დეკემბერს. ყოველი წლის დასაწყისში სკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრში წარადგენს ფინანსური შედეგების ანგარიშგებას (წლიური ბალანსი). ყოველი წლის ბოლოს დირექტორი გამოსცემს ბრძანებას სკოლაში ინვენტარიზაციის ჩასატარებლად. საინვეტარიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ. კომისია ახდენს მცირეფასიანი ინვენტარის აღწერას, რაც შემდგომ გადაეცემა ბუღალტერს, რომლის მიერაც ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა. მიღებული შედეგები აისახება წლიურ ბალანსში. 2023 წლის ბოლოს დაგეგმილია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლა ყოველწლიურად ადგენდეს სკუთარი ფინანსურ ანგარიშს.სასწავლო წლის 10 დეკემბრამდე აბარებს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს და შეუძლებელია ყველა იმ გარემოების გათვალისწინება, რომელიც ზემოქმედებს დაგეგმილ ბიუჯეტზე. ამდენად ცვლილებების განხორციელება თანმდევი პროცესია. ხორციელდება პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე ან პროფიციტზე). აუცილებელი მონიტორინგის შედეგების

დოკუმენტირება ანგარიშის სახით. საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ არის გაწერილი მონიტორინგის განხორციელების ვადები. პერიოდული ფინანსური ანალიზის ჩატარება აუცილებელია სკოლის სტაბილურობის შესაფასებლად.

სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სხვადასხვა საქონლის მომსახურეობის შესყიდვა. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესყიდვის წესისა და წლიური გეგმის საფუძველზე 20 ნოემბრამდე ხდება შესყიდვის გეგმის დამტკიცება. დამტკიცებული გეგმა იტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემა ePLAN -ში. შესყიდვის წესის შესაბამისად ხორციელდება ბაზრის კვლევა და ხორციელდება შესყიდვები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინტერვიუ
- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვის დოკუმენტაცია
- ინვენტარიზაციის აქტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას სკოლა ახდენს შინაგანაწესში გაწერილი მუხლების თანახმად (თავი 9. მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი, მუხლი; მუხლი 32.მოსწავლის წახალისების ფორმები, მუხლი 33. წახალისების გამოყენების წესი, მუხლი 34. მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებანი, მუხლი 35. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა/დისციპლინური სახდელი, მუხლი 36. მოსწავლეზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ნუსხა მოსწავლეთა მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუხლი 37. დისციპლინური წარმოების ვადა, მუხლი 38. სახდელის დაკისრება ერთზე მეტი გადაცდომის ჩადენის დროს, მუხლი 39. მოსწავლეთა დისციპლინური წარმოება, მუხლი 40. მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება და მოსწავლის განცალკევება)

სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი. სკოლის პრაქტიკით, მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს თავიანთ უფლებებს აცნობს კლასის დამრიგებელი.

ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფირმაციის დაცვის ძირითადი პრინციპები. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გაეწერა და ბრძანებით დაემტკიცებინა პერსონალური დაცვის მარეგულირებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები. ვიზიტის პროცესში სკოლამ შექმნა აღნიშნული დოკუმენტი და წარმოადგინა ბრძანება მოსწავლეთა რეფერირების პროცედურის შესახებ.

სკოლამ ვიზიტისას ვერ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი. ვიზიტისას სკოლას მიეცა რეკომენდაცია, განესაზღვრა და ბრძანებით დაემტკიცებინა აღნიშნული დოკუმენტი. ვიზიტის პროცესში სკოლამ შექმნა და ბრძნებით დაამტკიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი, რომელშიც ჩამოყალიბებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაციისა და მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები. (ბრძანება N 172)

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე - სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები მოწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას სრულად უზრუნველყოფს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. (2022 წლის 7 სექტემბერი. სხდომა N 1) სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ დამტკიცებულ შინაგანაწესს მოსწავლეთა თვითმმართველობა თვითმმართველობის წევრების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე აცნობს მოსწავლეებს. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლის შინაგანაწესის გაცნობა პედაგოგებისთვის ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და გაზიარებულია სამეურველ საბჭოს წევრების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) მიერ. მოსწავლის მშობელთან ან კანონიერ წარმომადგენელთან და პედაგოგებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერით ადასტურებენ სკოლის შინაგანაწესის გაცნობას.

- დოკუმენტები (შინაგანაწესი და წესდება)
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი
- დაგეგმილი აქვს კლასის დამრიგებლების საშუალებით მოსწავლეებსა და მშობლებს მიაწოდებს ინფორმაციას აღნიშნული დოკუმენტების შინაარსზე.
- მოსწავლის მშობლეთან /კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სკოლის შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. (ვიზიტის დროს ხელშეკრულებები გადამოწმდა შემთხვევითობის პრინციპით) კანონმდებლობის შესაბამისად ხელშეკრულებებში განსაზღვრულია *სკოლის საქმიანობა,* მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, *სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა* და დავის გადაწყვეტა, შინაგანაწესის გაცნობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები .
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი.
- პერსონალურ მონაცემთა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა დამტკიცებული შინაგანაწესის საფუძველზე ახდენს მოსწავლეთა ჩარიცხვის, მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, მობილობისა და გასაჩივრების წესს. (თავი - 11) წარმოდგენილი მუხლი არეგულირებს სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მოსწავლის სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას, მობილობას, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას და გასაჩივრების წესს.
წარმოდგენილი მუხლი შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ და 2010 წლის 1 ოქტომბრის N98 /ნ ბრძანებებთან.
სკოლას წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული აქვს აქვს საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დასტურდება საფეხურის დაძლევის, მობილობის მექანიზმები. სკოლის არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ ის იცავს წარმოდგენილი წესით განსაზღვრულ რეგულაციებს. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ. (ბრძანება N 42)

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლაში მოქმედებს ხელმარჯვე ოსტატთა კლუბი, ინგლისური ენის კლუბი, სამოქალაქო კლუბი ,,მზიანეთი''. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კლუბების წესდება და სამუშაო გეგმა, თუმცა სკოლას თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ჰქონდა ხელნაწერი მასალა - ინფორმაცია კლუბების მიზნების შესახებ, სადაც აღნიშნული კლუბების ფუნქციონირების წესი იკითხებოდა. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ბრძანებით დაემტკიცებინა არსებული კლუბების წესდება და სამუშაო გეგმა, რომელშიც იდენტიფიცირებული იქნებოდა კლუბების ზოგადი მიზნები, კლუბში გაწევრიანების ფორმა და კლუბის წევრების უფლებები. ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ორ უცხო ენას - ინგლისური და რუსული. (სასკოლო სასწავლო გეგმა) სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და პირობები სასკოლო სასწავლო გეგმაშია ასახული.

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. დამრიგებლები მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან ინფორმაციას მოწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის შესახებ.

სკოლას გააჩნია მოსწავლეებისათვის ტრანსპორტირების მომსახურების სერვისი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის პრაქტიკიდან დასტურდება, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სკოლას აქვს პრაქტიკა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებთან რეგულარული შეხვედრების შესახებ. ინფორმაცია განახლებადია, გამჭვირვალეა და არადისკრიმინაციულია

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი - მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და გასაჩივრების პირობა;
- ტრანსპორტირების ცხრილი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შინაგანაწესში განსაზღვრული აქვს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. (თავი 11. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები .მუხლი 42. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა) სკოლას არა აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში მობილობით გადმოსული მოსწავლის, პირველ კლასელის, სსსმ მოსწავლის სასკოლო სივრცეში ადაპტაციის დეტალური ინსტრუქცია.

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია პრველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მათი მშობლების ვიზიტის დამადასტურებელი ფოტო მასალა. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ აღნიშნული პრაქტიკით სკოლის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი დოკუმენტი, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარეა შექმნილი. სკოლას აქვს პრაქტიკა, სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელები მშობლებთან ერთად მოიწვიოს სკოლაში, გააცნოს სასკოლო აქტივობები და ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას მოქმედი პრაქტიკით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერა და კონსულტირება აკადემიური მიღწევებს გასაუმჯობესებლად. სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. რომელიც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. ვიზიტის დროს მიეცა რეკომენდაცია და სკოლამ შექმნა / ბრძანებით დაამტკიცა მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები. (ბრძანება N 169)

სკოლის ეელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის მშობელმა დროულად და სისტემატურად მიიღოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ინტერვიუთი დაზუსტა, რომ დამრიგებლები აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის მშობლებსა და კანონიერ წარმომადგენლებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა მოსწავლეებს აძლევს არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც. სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით სკოლა გეგმავს:

- ✓ კლუბების შექმნას მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით;

- ✓ ერთობლივი პროექტების განხორციელებას პროფესიულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;

სკოლაში შექმნილია

- ❖ ხელმარჯვეთა კლუბი
- ❖ ეკო/კლუბი
- ❖ უცხოენების კლუბი

სკოლაში შექმნილია და უკვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული კლუბები; (ხელმარჯვე ოსტატის კლუბი. უცხო ენების კლუბი. ეკოკლუბი. მოსწავლეები თავისუფალნი არიან შეარჩიონ მათთვის სასურველი კლუბი და გაწევრიანდნენ - გაიარონ რეგისტრაცია. სკოლის ფოიეში იყო გამოკრული კლუბების დებულება, რომელიც არ იყო დამტკიცებული ბრძანებით. სკოლას მიეცა რაკომენდაცია და ბრძანებით დაამტკიცა კლუბის დებულების, მოსწავლეთა რეგისტრაციის ფორმები. სკოლის პრაქტიკით დასტურდება მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის განხორციელებული აქტივობები - დაკვირვება, გამოკითხვა. სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, ვიზიტის დროს მიეცა რეკომენდაცია და წარმოადგინეს ბრძანებით დამტკიცებული ფორმა - მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულებით დასტურდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და აქვს შესაძლებლობა, შექმნას სასკოლო კლუბები, გამოთქვას შესაბამისი ინიციატიცა. მოსწავლეთა თვითმმართველობას შეუძლია სასკოლო ბიბლიოთეკისთვის ლიტერატურის შერჩევა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია მშობელთა, მოსწავლეთა/ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ჩატარება, რომლის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს საკუთარ მომსახურებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი - მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- კლუბების მუშაობის შედეგად წარმოდგენილი პროდუქტები;
- ტრანსპორტირების სერვისი
- კლუბების დებულება

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი ითვალისწინებს პროფესიის ორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დასაქმების ობიექტებში ვიზიტების ორგანიზებას სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრის განრიგსა და პროგრამას

წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით სკოლა ამ ეტაპისთვის არ სთავაზობს მოსწავლეებს გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს. თუმცა სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლა თანამშრომლობას სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებთან და უმაღლეს დაწესებულებებთან. მასწავლებლები ახორციელებენ მიზნობრივ ექსკურსიებს სახელმწიფო დაწესებულებებში; ,,სენაკის სამხედრო ბაზა“, საზოგადოებრივი კოლეჯი - ,,შოთა მესხიას სახელობის სენაკის ფილიალში - პროფესიული სასწავლებელი, სადაც მოსწავლეები ეცნობიან კონკრეტული სტრუქტურის საქმიანობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის საჯარო სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სკოლის პრაქტიკით და სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლაში გეგმაზომიერად ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების ღია კარის დღეები და იმართება სამუშაო შეხვედრები საზოგადოებრივ კოლეჯთან. სკოლა კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებისას ეყრდნობა კოლეჯისა და უმაღლესი განათლების სანდო ინფორმაციას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების სურვილების და ინტერესების გათვალისწინებით. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მშობლების ჩართულობით, სადაც პროფესიების შერჩევის შესახებ გამართავს საუბრებს და არსებული გამოწვევების შესახებ საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს მოსწავლეებს. ინტერვიუთი ასევე დაზუსტდა, რომ სკოლა გეგმავს თემში არსებული ინტერესების შესახებ კვლევის ჩატარებას და მიღებული მონაცემების შეფასების საფუძველზე შეიმუშავებს მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის გეგმას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

-
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;

- დამრიგებლის საათის თემატიკა.
- ფოტომასალა

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის საჯარო სკოლას სასკოლოო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების **რეგულაცია.**

სკოლაში დამტიცებულია ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომლის ამოცანაა სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. სკოლას ჰყავს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ევალება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეების ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფასა და ინტეგრაციას სასკოლო-სასწავლო პროცესში. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში, თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია სპეციალური მასწავლებლის სამუშაო ანგარიში.

სსსმ მოსწავლეთა მართვას სკოლა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობებისა და რეგულაციების საფუძველზე. სკოლას აქვს რესურს/ოთახი, აქვს კეთილმოწყობილი პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილია რესურს/ოთახი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლეებმა შესაბამისი მხარდაჭერა მიიღონ. სასწავლო წლის დაწყებამდე მოსწავლე მშობელთან ერთად სტუმრობს სკოლას, ათვალიერებს სასკოლო გარემოს, კლასს, რესურს/ოთახს, ეცნობა მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებელს. გაცნობითი შეხვედრის შემდეგ მასწავლებლები იღებენ მშობლისგან ინფორმაციას ბავშვის თავისებურებების და ინტერესების შესახებ იმისათვის, რომ მოხდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და საკლასო სივრცის მოწყობა ამ ყოველივეს გათვალისწინებით.
სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყოველი წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი. სასკოლო საზოგადოება მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება # 104 ინკლუზიურის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი,) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი ხასიათის მომსახურების გაწევა (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მომსახურეობის მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.
3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე .

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ტრანსპორტით მომსახურება, რომელიც ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს: კლუბები და წრეები. კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები ინტერესისა და სურვილის მიხედვით რეგისტრირდებიან

სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ტრანსპორტირების ტაბელი, თუმცა ვერ წარმოადგინა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ინახება სახელმწიფო სამსახურში, რომელიც უშუალოდ არის დამქირავებელი ორგანიზაცია. სკოლას ვიზიტის დროს მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული სამსახურიდან გამოითხოვოს სატრანსპორტო საშუალების ექსლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის ნოქალაქევის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ტრანსპორტირების ტაბელი
- მოსწავლეთა კლუბებში გაწევრიანების სარეგისტრაციო ფორმა

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებთი საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა და ვიზიტის დროსაც სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლამ ვერ წარმოადგინა საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა რეკომენდაცია და სკოლამ ვიზიტის დროს შექმნა და წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით N 167. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ეტაპებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა სკოლის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება შეხედულებებისა და ინტერესების, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე (შეხვედრები კათედრის წევრებთან, მშობლებთან) სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების

მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას.

- სახელმწიფო ენა

  1. კურიკულუმის შემუშავების საყურადღებო მიდგომებზე საუბრისას კათედრის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ამჯერად გაითვალისწინეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილება და ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის საგნობრივი ექსპერტის სამდღიანი წინასაავტორიზაციო კონსულტაციები, რის საფუძველზეც შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სარეკომენდაციო თემები და ტექსტები, ამ ეტაპზე დავალებათა ტიპები არ არის შერჩეული, თუმცა აღნიშნავენ, რომ დაეყრდნობიან მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის არსობრივ პრინციპებს და მოსწავლეთა ფსიქოემოციური და აკადემიური მზაობის გათვალისწინებით, ეტაპობრივად ასახავენ კურიკულუმში თემის ფარგლებში დასამუშავებელ კომპლექსური ბუნების დავალებებს, რათა დაიფაროს საფეხურის სამიზნე ცნებები.

  პედაგოგები აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა ჩაერთონ მშობლები, რათა ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები.

- **მათემატიკა**

  1. სკოლის თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს, აზრთა გაზიარება და ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე. გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

1.დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათელია, რომ იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტის არსი. იციან, თუ რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის მნიშვნელობა და კურიკულუმის შემუშავების პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მომავალი წლისთვის ძირითადად ის კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი წლისთვის . შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ კიდევ გადახედავენ და დახვეწავენ წარმოდგენილ კურიკულუმებს 1-6 კლასებში. ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შეტანას. შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის მისაღები არის საგნობრივი კურიკულუმის ასეთი სახით წარმოდგენა. ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება, რომლის განხორციელებით აღწევენ შუალედურ მიზანს და შესაბამისი რესურსები. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა გეგმავს შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას, რაც ითვალისწინებს პროცესის შემაჯამებელ შეფასებას რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის დასასრულს.

განმავითარებელი შეფასება დარჩება, როგორც თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისა და სწავლის ხარისხის ხელშეწყობის გაუმჯობესების მექანიზმი, სადაც მოსწავლეს ენიჭება კრიტიკული როლი, გახადოს სასწავლო პროცესი ჰოლისტური და მოსწავლემ განივითაროს როგორც კოგნიტური და ფიზიკური, ასევე ფსიქო-სოციალური უნარები.

- უცხო ენები

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად, მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი.

- ესთეტიკის კათედრა

1. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები, ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური დავალებები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის და ფანტაზიის ამუშავებას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. დაწყებით საფეხურზე, ესთეტიკის საგნის კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, გააჩნია შესაბამისი პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას ამ მიმართულებით. გასაუბრებიდან გამომდინარე ჩანს, რომ კათედრა ახერხებს სკოლის ძირითადი პრიორიტეტების გაანალიზებას და წინა წლების გამოცდილებით ახალი მიზნების დასახვას სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- ტექნოლოგიები

1. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება (სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა) სკოლის კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია. კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) შეხედულება. აზრთა გაზიარება ხდება კათედრებზე, მშობელთა კრებებზე და სოციალურ ქსელში. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთმანეთთან

თანამშრომლობენ, კათედრებზე განიხილავენ განხორციელებულ აქტივობებს, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე ქმნიან ახალ კურიკულუმებს. სასწავლო თემების შერჩევისას ითვალისწინებენ სკოლის ინფრასტუქტურას.

- სპორტი

1. პედაგოგებთან გასაუბრებით აღინიშნა და სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება (სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა) სკოლის კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომ პედაგოგები სკოლის და მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავენ და კათედრაზე კოლეგიალურად შეიმუშავებენ მესამე ტაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოტხოვნებიდან და საგნობრივი სტანდარტიდან გამომდინარე კურიკულუმებს. სასწავლო თემების შერჩევისას ითვალისწინებენ სკოლის ინფრასტუქტურას. დაწყებით საფეხურზე სკოლაში შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგია (შემუსავებული 1 დან მე-6 კლასამდე კურიკულუმების ჩარჩო) , საშუალებას იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას მათ სამომავლოდაც გამოთქვეს მზაობა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში, ჩართული იქნება სასკოლო საზოგადოება. .

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლაში ვიზიტის პროცესში შექმნილი და ბრძანებით დამოწმებული „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იზიარებს სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მისი შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი. პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციულ ერთეულთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშვებული სარეკომენდაციო პაკეტი გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის პრაქტიკის მიხედვით სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან თუ რამდენად კმაყოფილი არიან კურიკულუმებში ასახული კომპლექსურ დავალებებზე

მუშაობით, რა მოსწონთ, რისი გაკეთება გაუადვილდათ, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის განმარტებით, შეგროვებულ ინფორმაციას საგნობრივი მასწავლებლები და სამუშაო ჯგუფი იყენებს კურიკულუმის შექმნის პროცესში.

- სახელმწიფო ენა

2. საგნობრივ კურიკულუმსა და მასწავლებელთა ზეპირ რეფლექსიაში ჩანს რეალური მცდელობა იმისა, რომ სასწავლო პროცესში ასახული იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა სტრუქტურული ერთეულის ინტერესი, გამოცდილება, იდეები. წარმოდგენილი თემები, დავალებები, სასწავლო პროექტები, სამომავლო იდეები-ცხადყოფს, კათედრა აცნობიერებს, რომ კურიკულუმი არ მოიცავს მხოლოდ საგნობრივი საკითხების სწავლებას და აუცილებელია მოსწავლეთა ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვაც, რაც მრავალმხრივი ჩართულობის გარეშე ვერ მიიღწევა. აღნიშნულის განხორციელების სურვილი და პოტენციალი ვლინდება როგორც ავტორიზაციის ამ ეტაპისთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე მასწავლებელთა ზოგად დამოკიდებულებებსა და იდეებში.

- მათემატიკა

2. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. მასში გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები. ის ვითარდება მოსწავლეების , მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

- უცხო ენები

2. დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ყველა თემაზე ინტეგრირებულია კომპლექსური ტიპის დავალებები: ინგლისური ენა I-VI კლასები, რუსული ენა V-VI კლასები. ყოველივე ეს გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას. კერძოდ:

შემოქმედებითობა, როდესაც მათ უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან ილუსტრაცია, პოსტერი სხვდასხვა თემატიკაზე, ვიდეორეპორტაჟი საკუთარი ქალაქის მნიშვნელოვან ადგილებზე, ილუსტრირებული თხრობითი ტექსტი საყვარელი ცხოველის შესახებ, ორენოვანი ბუკლეტი წარმოსახვითი ხელოვნური მუზეუმის შესახებ, პოლილოგი სასკოლო ნივთებზე, მოირგონ ესა თუ ის როლი და გაითამაშონ კონკრეტული სცენა და სხვა.

კრიტიკული აზროვნება - წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი. მაგალითად, მეექვსე კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეს ევალება შექმნას ორენოვანი ბუკლეტი წარმოსახვითი სახვითი ხელოვნების მუზეუმის შესახებ და შეადაროს მუზეუმის 2 ექსპონატი (პორტრეტი) . შემდეგ კი წარადგინოს ნამუშევარი კლასის წინაშე .

კომუნიკაცია - წარმოდგენილი კურიკულუმებით ირკვევა, რომ მოსწავლეებს უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. ასევე, ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებასაც, რადგან მოსწავლეები აკეთებენ თვით რეფლექსიას კომპლექსური დავალებების დასრულებისას და ასევე მისი განხორციელების ეტაპების დროსაც. ასევე, მეოთხე კლასის ინგლისური ენის კომპლექსური დავალების პირობით ირკვევა, რომ მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ გამოკითხვა მათი და თანატოლების ცხოვრების სტილის შესახებ და წარადგინო მიღებული ინფორმაცია კლასის წინაშე. ასევე

მეორე კლასის ინგლისური ენის თითქმის ყველა კლასის კურიკულუმი იტვალისწინებს დიალოგებს, როლურ თამაშებს რაც მათ კუმუნიკაციის უნარის გამომუშავებაში დაეხმარებათ.

კოლაბორაცია - მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილია როლური თამაშები, ანკეტირება და გამოკითხვა, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ, იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა.

მოქალაქეობა - მოსწავლეებში მოხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც იმდენად, რამდენადაც ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შესრულების დროს, როგორიცაა: როლური თამაშის, დიალოგების, გამოკითხვის დროს ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ

ხასიათი/ნებელობა - საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვით-რეალიზაციისთვის, მიზნების დასახვა და განხორციელება მოსწავლეებს უხდებათ დავალების შესრულებისას, როცა ისინი თავად ირჩევენ დავალების წარდგენის ფორმას. მაგ: ინგლისური ენისთვი პრეზენტაციი ან პოსტერი , რუსული ენისთვის მოსწავლემ თავად უნდა დახატოს ან წარმოადგინოს საკუთარი ფოტოსურათი და ისე აღწეროს მისი პორტრეტი და სხვა.

- ესთეტიკის კათედრა

2. დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები, იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებას, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ატარებს გამოკითხვას, რათა კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები. ასევე, დაწყებით საფეხურზე მშობლებსა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შორის არსებობს აქტიური კომუნიკაცია. მასწავლებლები მშობლებისაგან

იღებენ ზეპირ უკუკავშირს, რაც ეხმარება მათ კომპლექსური დავალებების კეთებისას მოსწავლეებთან წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრაში. წლის ბოლოს, ატარებენ თავად მოსწავლეების გამოკითხვას იმის შესახებ, თუ რამდენად მოსწონთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა. აღნიშნულ მტკიცებულებებს იყენებენ კურიკულუმის შექმნის პროცესში.

- კომპიუტერული ტექნოლოგიები

2. შერჩეული სასწავლო თემებით ჩანს და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან., ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების შექმნისას. შექმილი აქვთ II-VI კლასის კურიკულუმები, რომელიც გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტებიდაან და მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს. წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი არის სწორედ ის, რაც კურიკულუმს განავითარებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი იაზრებს, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მთავარი სუბიექტია და მისი ჩართულობა კურიკულუმში კარგად დაგეგმილი და მიმდინარე სასწავლო პროცესის წინაპირობაა.

- სპორტი

2. შერჩეული მრავალფეროვანი სასწავლო თემებით ჩანს და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს პედაგოგებმა, , რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებეს- შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ კომუნიკაცია მშობლებთან., ითვალისწინებენ კათედრის სხვა წევრების მოსაზრებებსა და გამოცდილებას და სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებულია სასკოლო კურიკულუმების შექმნისას. შექმილი აქვთ 1-6

კლასის კურიკულუმები, რომელიც გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტებიდაან სა მესამე თაობისბ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საგნების პედაგოგები სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთოანებს საგნობრივ კურიკულუმებს. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო, რომელიც შემუშავებული წესის მიხედვით შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. ვიზიტის დროს შექმნილ მეთოდოლოგიაში დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, არის აქტიურ კომუნიკაციაში და ინდივიდუალურად მოიძიებს ახალ მიდგომებს, რათა სასწავლო პროცესში უფრო ეფექტურად ჩართოს მოსწავლე.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მეორე უცხო ენა. არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში კი აქტურად არიან ჩართულნი მოსწავლეები.
შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

- სახელმწიფო ენა

3. როგორც აღნიშნავენ, კურიკულუმზე მუშაობის პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება, თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის პრინციპით იგეგმება მიზნობრივი აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის დამრიგებლებმა სასწავლო წლის დასაწყისში მოიწვიეს მშობელთა კრება იმ მიზნით, რომ გაეთვალისწინებინათ მათი მოსაზრებები სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით, გააცნეს მათ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები; კათედრის წევრები აღნიშნავენ, რომ მშობლები მონაწილეობენ სასკოლო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში, კერძოდ, ეზოში დარგული მცენარეების მოვლასა და ზოგადად, სკოლის შემოგარენის გამწვანებაში. სასკოლო პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვანია მათი როლი დეკორაციებზე მუშაობის თუ სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარევის თვალსაზრისით.

- მათემატიკა

3. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას, აცნობენ მშობლებს და ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. კურიკულუმის შექმნის პროცესში მშობელთა მონაწილეობისა და მოსაზრებათა გათვალისწინების მიზნით ჩატარდა მშობელთა კრებები, სადაც საგნების მიხედვით მასწავლებლებმა მშობლებს გააცნეს კომპლექსური დავალებების ფორმატი და უპასუხეს მათი მხრიდან დასმულ კითხვებს.

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, ბიბლიოთეკა. ყველა საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში აღნიშნულ სივრცეებს, ეცნობან მეთოდურ ლიტერატურას პროფესიული განვითარების მიზნით. აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა მათთვის მეორე სამასწავლებლოა. იქ აწყობენ კოლეგებთან შეხვედრებს. სკოლის პირველ სართულზე ფოიეში აქვთ სივრცე, სადაც აწყობენ ერთობლივი და საკლასო პროექტების პრეზენტაციებს. კედლებზე გამოკრულია ქიმია-ბიოლოგიის მასაწლებლის მიერ განხორციელებული პროექტების მასალები, კომპლექსური დავალების პროცესში მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი-პოსტერი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ბუნებისმეტყველების გაკვეთილი განახორციელა არაფორმალურ გარემოში-სკოლის გარეთ ტყე-პარკში, მოსწავლეებმა იქ არსებული მცენარეების ფოთლებით შექმნეს ჰერბარიუმი.

პროექტმა მოსწავლეების კმაყოფილება გამოიწვია და მასწავლებელმა დასახულ მიზანსაც მიაღწია. შესაბამისად მასწავლებელი გეგმავს მომავალ წელს განახორციელოს იგივე სახით საგაკვეთილო პროცესი. უყვართ მრავალფეროვანი აქტივობები. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში კედლებზე გამოფენილია მათი მუშაობის ამსახველი მასალები, მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქტები. სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები. აქვთ ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, რომლებსაც იყენებენ მიზნობრივად. აღნიშნეს, რომ ასეთი ფორმით მუშაობა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ. ჰყავთ სსსმ მოსწავლეები და მათი შესაბამისი ისგ . მომდევნო წელსაც აგრძელებენ მათთან მუშაობას და შესაბამისად ახდებენენ დავალებების შერჩევას განსაზღვრული თემის ფარგლებში.

- უცხოური ენები

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (ვიდეო, პოსტერი, PPT პრეზენტაცია). ინგლისურ ენაში, მე-6 კლასის. მოსწავლისთვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებით.

- ესთეტიკის კათედრა

3. სკოლაში გასაუბრება მხოლოდ ხელოვნების პედაგოგთან მოხდა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულების დროს მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება. ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას ირჩევენ მათთვის სასურველ ფორმას საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. (მაგ: პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი და ა.შ).

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი მონაწილეობით. მშობელთა კრებებზე, კლასისა და კათედრის სხდომებზე განიხილება სკოლისათვის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შემდეგ ასახვას პოულობს სასკოლო კურიკულუმში.

- კომპიუტერული ტექნოლოგიები

3. ინტერვიუს მსვლელობისას კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმაც აღნიშნა და თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, კურიკულუმზე მუშაობის პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებსა და აქტივობებს. რისი გათვალისწინებითაც მუშავდება მიზნობრივი აქტივობები, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმებით. დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებაზე საგნის მასწავლებლებთან ერთად აცნობენ კურიკულუმში ასახულ დავალებებს, განიხილავენ შემოთავაზებებსა და ინიციატივებს და ითვალისწინებენ განხორციელების პროცესში. მშობელთა ჩრთულობა დიდია ადამიანური რესურსის სახით, კერძოდ მცენარეთა მოვლა და ეზოს გამწვანება, დეკორაციებზე მუშაობა და სხვა საორგანიზაციო საკითხები. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

- სპორტი

3. ინტერვიუს მსვლელობისას პედაგოგებმა აღნიშნეს და სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა და ერთობლივად გეგმავს სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებსა და აქტივობებს. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს დირექციის, კათედრებისა და პედაგოგების როლსა და ფუნქციებს კურიკულუმის შემუშავებაში. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

- **სახელმწიფო ენა**

4. კათედრის წევრების აღნიშვნით, სსიპ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე კურიკულუმების მიმდინარე და მოქმედი ვერსია გაზიარებული და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამის საშუალებას იძლევა ონლაიანსივრცე, რომელზეც განთავსებულია ყველა კლასის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოება მზადაა, გაიზიაროს კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ჩართული საზოგადოების ყველა წევრის მოსაზრება.

- **მათემატიკა**

4. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ის გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. 1-4 კლასებში არ ხდება განმსაზღვრელი შეფასება. ზირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . აღნიშნე, რომ ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს .

უფრო ხშირად გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ვიდრე აქამდე. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.

ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც.

- **უცხოური ენები**

4. უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშინაო და ტესტური დავალებებისთვის, პრეზენტაციისა და საგაკვეთილო მასალის ცოდნისა და გამოყენების შეფასებისთვის, რომელიც გვაჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

- **ესთეტიკის კათედრა**

4. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აღწერს მასწავლებლის მოლოდინებს ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ განმავითარებელ შეფასებას აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

ასევე წარმოდგენილია სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მოიცავს მე-5კლ მე-2 სემესტრს და მე-6 კლასის სრულ სასწავლო წელს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.

შეფასება არ არის წარმოდგენილი მუსიკის საგანში, თუმცა ხელოვნების პედაგოგის მიერ წარმოდგენილი რუბრიკები მაძლევს საშუალებას ვიფიქრო, რომ თანამშრომლობის საფუძველზე მოხდება აზრთა გაზიარება და რუბრიკების შემუშავება.

დოკუმენტაციაში ვხვდებით ასევე მოსწავლის თვითშეფასებას, შესასვლელ ბილეთებს.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

4. უკვე შექმნილი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამისათვის იყენებენ კომუნიაციის ყველა შესაძლებლობას. სასკოლო საზოგადოებასაც აქვს მზაობა გაიზიაროს კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ჩართული საზოგადოების ყველა წევრის მოსაზრება. მომავალში გეგმავენ, რომ მათი ჩართულობა გახდეს უფრო მეტად ეფექტური.

- **კომპიუტერული ტექნოლოგიები**

4. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლის თვითშეფასების ფორმაც მოწმობს, რომ შექმნილ კურიკულუმების და დაგეგმილ საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას და უკუკავშირს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა , მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. თუმცა ამისთვის სკოლას ჯერ არა აქვს ვებგვერდი.

- **სპორტი**

4. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლის თვითშეფასების ფორმაც მოწმობს, რომ შექმნილ კურიკულუმების და დაგეგმილ საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შესახებ ინფორმაციას და უკუკავშირს იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც. სკოლის სოციალურ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება სხვადასხვა , მათთვის საინტერესო ინფორმაცია და აქვე შასაძლებელია უკუკავშირის მიღებაც. (ამისთვის სკოლას ჯერ არა აქვს ვებგვერდი).

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება N 167
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო პროექტებისა და სხვადასხვა შიდასასკოლო აქტივობის ამსახველი მასალა.
- I-VI კლასების კურიკულუმების ჩარჩო
- V კლასის მშობელთა კრების ოქმი N3
- კითხვარი I კლასის მშობლებისთვის

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

- სახელმწიფო ენა

1. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში წარმოჩენილია სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი ეტაპისთვის სავალდებულო კომპონენტები: სასწავლო თემა, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ როგორც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩართულ დაწესებულებას, აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება (წარმოდგენილია რამდენიმე ნიმუში), შეხვედრაზევე გაანალიზეს ხარვეზები, რომლებიც შესამჩნევი იყო კურიკულუმის ჩარჩოში და იმსჯელეს დახვეწის სტრატეგიებზე. აღნიშნულით დასტურდება, რომ კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. პირველი და მეორე კლასის კურიკულუმის ჩარჩო შედგენილია ძველი სახელმძღვანელოს მიხედვით და არ არის შერჩეული კომპლექსური დავალებები, რაც მასწავლებლებმა იმით ახსნეს, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული კლასების სახელმძღვანელო არ არის და გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ახლად შერჩეული სახელმძღვანელოს მიხედვით კურიკულუმების შედგენას და კომპლექსური დავალების შერჩევას. ასევე, იგეგმება ყველა კლასის კურიკულუმის ხელახლა გადახედვა და დახვეწა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, რადგან გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა.

- უცხოური ენები

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიექტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად,

მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი.

- ესთეტიკის კათედრა

1. დაწყებითი საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები, ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც დაწყებითი საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში. კომპლექსური დავალებები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის და ფანტაზიის ამუშავებას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. დაწყებით საფეხურზე, ესთეტიკის საგნის კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.

- ტექნოლოგიები

1. მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში მიზნები მუშავდება ე.წ. სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეს

უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია, საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყენებს სარეკომენდაციო რესურსებს.
ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

1. სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. მათში გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურაც. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- სახელმწიფო ენა

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის-ბუნების სურათები-შესწავლისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან ერთად, როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა. შენიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- **მათემატიკა**

1. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საკითხი, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტმაგალითები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. კათედრას შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვს კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. ასაკის შესაბამისად, მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც განაპირობებს 6 გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გაწერილია სწავლების მიზნები. ამ ეტაპისათვის კურიკულუმი იხვეწება ახალი სასწავლი წლის დაწყებამდე.

- უცხოური ენები

  2. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. განვიხილავ ერთ კონკრეტულ შემთხვევას. ინგლისური ენის მე-4 კლასის მატრიცაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს ნაცნობ ზღაპარზე დაყრდნობით დიალოგის შედგენას, მე-5 კლასში ვიდეორეპორტაჟის შექმნას ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ, პრეზენტაციის მომზადება საყვარელი წიგნის შესახებ, რომელიც უკვე წაკითხული აქვს. ასევე ლექსიკა და გრამატიკაც ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებს არა მარტო ახლის, არამედ ნასწავლი სტრუქტურების გამოყენებაც უხდებათ.

- ესთეტიკური აღზრდა

2. დაწყებითი საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები, იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებას, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.
შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებ**ს ამ კრიტერიუმს.

- ტექნოლოგიები

2. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან ინტერვიუ, სადაც ის საუბრობს ფორმალურ თუ არაფორმალური აქტივობების შესახებ . აქედან გამომდინარე შეიძლება

დავასკვნათ , რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

2. შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესი; გლობალური ფუნქციური უნარებსა (6 უნარი) და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს.. ინდიკატორი **შესაბაისობასშია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- სახელმწიფო ენა

3. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) დავალების პირობის მოდიფიცირების უნარი; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. კათედრის წევრების განმარტებით, დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, ერთსა და იმავე საკითხსა თუ ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა). დაწყებით საფეხურზე ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე, მისთვის კონკრეტულ საგნებში გაწერილია ისგ, რომელიც მორგებულია ამ მოსწავლის შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

3. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საჭიროების შემთხვევაში, რემედიაციას. ასევე, სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის მიზანია დაწყებით კლასებში მათემატიკისა და ქართული ენის საგნების მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, არსებობს რესურსოთახი, სადაც სპეცმასწავლებელი მათთვის მორგებული რესურსებით ახორციელებს აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე და სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, ბიბლიოთეკა. ყველა საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო

პროცესში აღნიშნულ სივრცეებს, ეცნობან მეთოდურ ლიტერატურას პროფესიული განვითარების მიზნით. აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა მათთვის მეორე სამასწავლებლოა. იქ აწყობენ კოლეგებთან შეხვედრებს. სკოლის პირველ სართულზე ფოიეში აქვთ სივრცე, სადაც აწყობენ ერთობლივი და საკლასო პროექტების პრეზენტაციებს. კედლებზე გამოკრულია ქიმია-ბიოლოგიის მასაწლებლის მიერ განხორციელებული პროექტების მასალები, კომპლექსური დავალების პროცესში მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი-პოსტერი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ბუნებისმეტყველების გაკვეთილი განახორციელა არაფორმალურ გარემოში-სკოლის გარეთ ტყე-პარკში, მოსწავლეებმა იქ არსებული მცენარეების ფოთლებით შექმნეს ჰერბარიუმი. პროექტმა მოსწავლეების კმაყოფილება გამოიწვია და მასწავლებელმა დასახულ მიზანსაც მიაღწია. შესაბამისად მასწავლებელი გეგმავს მომავალ წელს განახორციელოს იგივე სახით საგაკვეთილო პროცესი. უყვართ მრავალფეროვანი აქტივობები. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში კედლებზე გამოფენილია მათი მუშაობის ამსახველი მასალები, მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქტები. სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები. აქვთ ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, რომლებსაც იყენებენ მიზნობრივად. აღნიშნეს, რომ ასეთი ფორმით მუშაობა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ. ჰყავთ სსსმ მოსწავლეები და მათი შესაბამისი ისგ . მომდევნო წელსაც აგრძელებენ მათთან მუშაობას და შესაბამისად ახდებენენ დავალებების შერჩევას განსაზღვრული თემის ფარგლებში.

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, დაწყებითი საფეხურიის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა იყენებს სხვადასხვა პორტალზე განთავსებულ ტესტებს, რომელთა საშუალებითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებენ აქტივობებს სწავლების დიფერენცირებისათვის.

- **უცხოური ენები**

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (ვიდეო, პოსტერი, PPT პრეზენტაცია). ინგლისურ ენაში, მე-6 კლასის. მოსწავლისთვის წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებით.

- ესთეტიკური აღზრდა

3. სკოლაში გასაუბრება მხოლოდ ხელოვნების პედაგოგთან მოხდა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულების დროს მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება. ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას ირჩევენ მათთვის სასურველ ფორმას საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. (მაგ: პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი და ა.შ).

პედაგოგმა ასევე აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე ჰყავთ ერთი სსმ მოსწავლე, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია ამ მოსწავლის შესაძლებლობებს. სექტემბრიდან აპირებს მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტად დახვეწოს კურიკულუმი.
შესაბამისად, კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ტექნოლოგიები

3. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია

კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებელს კომპლექსური დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგმაც აღნიშნა, რომ ის მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს დიფერენცირებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, გაკვეთილზე გამოსაყენებელი დამხმარე მასალები და აქტივობები კათედრულ დონეზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით „დაწყებით საფეხურზე მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშით“.

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

3. თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნისნული და ინტერვიუს დროს პედაგოგებმაც აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში , ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. აქვთ მზაობა სსსმ მოსწავლეებისათვის შესაბამისი ინდგეგმის შედგენისათვის. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

- სახელმწიფო ენა

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართების გამოსაკვეთად მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიდან ასახელებენ ზეპირ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. აღნიშნავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ექსპერტებმა გააცნეს ახალ სტანდარტზე დაფუძნებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათი შედგენის პრინციპი. ავტორიზაციის მომდევნო ეტაპზე, როცა შეიმუშავებენ დავალებათა პირობებსა და საეტაპო აქტივობების ინსტრუქციებს, იხელმძღვანელებენ სწორედ ამ შაბლონებითა და საგნობრივი სტანდარტებით, რათა შეფასების რუბრიკებში წარმოაჩინონ დავალების მოთხოვნებისა და სამიზნე ცნებების კავშირი.
მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას,რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

4. სკოლის მასალებში წარმოდგენილია V კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუში. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, მომავალი სასწავლო წლისთვის არჩეულია განმსაზღვრელი შეფასება სამი კომპონენტით. V კლასის მეორე სემესტრისა და VI კლასის გარდა, დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე არ არის წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. 1-4 კლასებში არ ხდება განმსაზღვრელი შეფასება. ზირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . აღნიშნე, რომ ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს . უფრო ხშირად გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ვიდრე აქამდე. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. უკვე შექმნილი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამისათვის იყენებენ კომუნიაციის ყველა შესაძლებლობას. სასკოლო საზოგადოებასაც აქვს მზაობა გაიზიაროს კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ჩართული საზოგადოების ყველა წევრის მოსაზრება. მომავალში გეგმავენ, რომ მათი ჩართულობა გახდეს უფრო მეტად ეფექტური.

- ესთეტიკის კათედრა

4. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისათვის. ამასთანავე, ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას.

- უცხო ენები

4. უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშინაო და ტესტური დავალებებისთვის, პრეზენტაციისა და საგაკვეთილო მასალის ცოდნისა და გამოყენების შეფასებისთვის, რომელიც გვაჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

- სპორტი

4. სკოლის მიერ შექმნილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. . ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- სსგ მონიტორინგის გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის:

- „სოლო“ ტაქსონომიის გამოყენების მაგალითი;
- ისგ-ბი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები.
- სასკოლო პროექტებისა და სხვადასხვა შიდასასკოლო აქტივობის ამსახველი მასალა.

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას

- სახელმწიფო ენა

1. კურიკულუმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო თემები შერჩეულია მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც ერთ-ერთი სტრატეგიაა ბავშვის გააქტიურებისა და სასწავლო მოტივაციის გაზრდისთვის. მაგალითად, თემა ,,ბავშვი მოთხრობებში“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები, მხატვრული ტექსტების საშუალებით, თავიანთი თანატოლების ცხოვრებას, მათი ასაკისთვის ნაცნობ და აქტუალურ პრობლემებს შეეხებიან, მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და

სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

1. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. პოზიტიური საკლასო კლიმატი კი იძლევა საშუალებას დაგეგმილი კურიკულუმების რეალიზება მოხდეს ისე, რომ მოსწავლე იყოს ცენტრალური სუბიექტი და შეძლოს გადმოსცეს, თავისი სიტყვებით ახსნას იდეები და გაეცნოს ახალ ინფორმაციას. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.საბუნებისმეტყველო კათედრის 1-6 კლასის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. აღნიშნეს: გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას ვაცნობთ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტმაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული

მოსწავლე ამუშავებს მას , თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. ჩვენ, მასწავლებლები მათთან ერთად ვადევნებთ თვალს, ვუხსნით გზადაგზა, ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ბუნებისმეტყველების მიმართულებით, იყენებენ ბიბლიოთეკას, გარე სივრცეს, აქვთ გამოფენა ნამუშევრებისა და გეგმავენ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი აქტივობები.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. მასწავლებლებთან გასაუბრებაზე და მათ მიერ განხორციელებეული კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას; დაფუძნებულია სწავლა-სწავლების 5 პრინციპზე, ამ პრინციპების გათვალისწინებით სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლებას. გარდა ფორმალური განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც ასაკის შესაბამისად;

- უცხო ენები

1. უცხოური ენების კათედრამ, მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ კურიკულუმში სწავლების დაწყებით საფეხურზე გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული ტიპის დავალებები. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენისთვის 4 კომპლექსური ტიპის დავალება თითოეული კლასისთვის, რუსულ ენაში 2 კომპლექსური ტიპის დავალება თითოეული კლასისთვის. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქედებით პროცესშია ჩართული.

- ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრა დაწყებით საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.
დოკუმენტაციაში მითითებულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგის მიერ ჩატარებული კომპლექსური დავალების ლინკი, ,,ჩრდილების თეატრი“ -ორმოში ჩავარდნილი მეფე. აღნიშნულ ლინკს სენაკის, სოფელ ნოქალაქევის სკოლის ფეისბუქგვერდზე გადავყავართ, სადაც წარმოდგენილია მეოთხე კლასელების მიერ ჩატარებული კომპლექსური დავალება თემაზე - ,,საყვარელი გმირი პერსონაჟი“ - ჩრდილების თეატრის საშუალებით. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებულ სწავლა-სწავლებას, რომელშიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლე.

- ტექნოლოგიები

1.კურიკულუმებში ასახულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც როგორც ინტერვიუზე გამოიკვეთა არის უკვე პრაქტიკაში კარგად განხორციელებილი , რომელიც იძლევა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით ჩართულობას. კათედრა გეგმავს ასევე სასწავლო პროცესში გაამდიდრონ კურიკულუმები ახალი კომპლექსური დავალებებით.ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

1. დაწყებითი საფეხურის (1-6 კლასები) კურიკულუმებში შეტანილი მრავალფეროვანი თემები, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით , დაგეგმილი ფესტივალები და სხვცა სპორტრული ღონისძიებები , სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე , იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას და თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოსავლენად. . ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

- სახელმწიფო ენა

2. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

2. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს ამ ეტაპზე არ ახლავს თემატური მატრიცები, ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ეს დაადასტურეს მასწავლებლებმაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტმაგალიტების/მაგალითთები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2.საგნობრივი კურიკულუმების განხორციელების პროცესი წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების უწყვეტ გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, რათა მოსწავლემ გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა და ა.შ.

- უცხოური ენები

2. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და

მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. განვიხილავ ერთ კონკრეტულ შემთხვევას. ინგლისური ენის მე-4 კლასის მატრიცაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს ნაცნობ ზღაპარზე დაყრდნობით დიალოგის შედგენას, მე-5 კლასში ვიდეორეპორტაჟის შექმნას ქალაქის მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ, პრეზენტაციის მომზადება საყვარელი წიგნის შესახებ, რომელიც უკვე წაკითხული აქვს. ასევე ლექსიკა და გრამატიკაც ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებს არა მარტო ახლის, არამედ ნასწავლი სტრუქტურების გამოყენებაც უხდებათ.

- ესთეტიკური აღზრდა

2. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ტექნოლოგიები

2.კურიკულუმებში იკითხება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი მასალის გადაცემის შესაძლებლობა რაც ეფუძნება საგნის თემატიკას, სამიზნე ცნებების ფარგლებში ხდება ცოდნის კონსტუირება. ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ყოველი მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინება ახალი მასალის განხილვის პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

- სპორტი

2. საგანში - ფიზიკურ აღზრდა , პედაგოგების თქმით, (დასტურდება თვითშეფასების ფორმითაც), ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს ახალს. რაც გააადვილებს სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამიტომ ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- სახელმწიფო ენა

3. მასწავლებლების თქმით, მათ მიერ წახალისებულია მოსწავლის თვითრეგულირებული სწავლა, მაგალითად, მეტაკოგნიტური ფიქრი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება შესრულებული პრეზენტაცია პირობას, რა არის მკაფიო და ბუნდოვანი წარმოჩენილ ცოდნაში, გამოყენებულ სტრატეგიებში. მასწავლებლები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე (3-2-1, გასასვლელი ბარათი, სადიაგნოსტიკი ტესტები), რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს. კათედრების შეთანხმებით, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო ტექსტებს მოუყაროს თავი და მისცეს მოსწავლის პორტფოლიოს სახე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას; მასწავლებლები ფასილიტაციას უწევენ მოსწავლეებს, ეხმარებიან მათ შესრულებული დავალების გაანალიზებაში.

- უცხოური ენები

3. კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელება დაგეგმილია უცხოური ენების კათედრაზე შემავალი ყველა უცხოური ენისთვის, თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს თუ როგორ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად; წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა).

- ესთეტიკური აღზრდა

3. ესთეტიკური კათედრის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩანს და ასევე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის ვიდეო რესურსიც მოწმობს, რომ წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალების იდეები, სადაც პედაგოგს სჭირდება

მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად. ყოველივე ეს მოსწავლეს ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას აძლევს, ახალისებს მის ინიციატივებს.

პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარებათ, თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ მომავალი წლიდან, სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მიერ შევსებულ ფორმებს, კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტებს და სადიაგნოსტიკო ტესტებს მოუყაროს თავი და ამ დოკუმენტაციას მისცეს მოსწავლის პორტფოლიოს სახე. ამ შემთხვევაში კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ტექნოლოგიები

3.განსაკუთრებით ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი გაამრავალფეროვნონ ისეთი აქტივობები რომლებიც კოგნიტური უნარების განვითარებას, თვითმართვადი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალების დანერგვის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა.

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია რომ სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, საგნის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო

გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. საგანში არაა ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე და შესაბამისად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ინდ. გეგმა, თუმცა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმაც გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)**

- სახელმწიფო ენა

4. გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელეს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებისთვის მუშაობას. სექტემბრამდე კურიკულუმის ჩარჩო შეივსება სწორედ ამ ტიპის დავალებებით. სხვა შემთხვევაშიც, თემის შესწავლისას, სრულდება აქტივობები და ისმება ისეთი შეკითხვები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობისეული ცოდნის შეძენა-აღმოჩენას. შენიშნეს ისიც, რომ ლიტერატურული ტექსტის დამუშავება სხვაგვარად წარმოუდგენელია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომ მოხდეს მიღებული დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენება ცხოვრებისეულ ინტერაქციაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნბისმეტყველო მეცნიერებები

4. საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლოპროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას.

სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლასი არსებული რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიაში და კომპიუტერების ოთახში. ლაბორატორიაში დამონტაჟებული არის სველი წერტილი , კედელზე გაკრულია უსაფრთხოების წესები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა არის პლაკატისა და საჭირო ხელსაწყოს გატანა საკლასო ოთახშიც. არ აქვთ სადემონსტრაციო მაგიდა, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ცდის ჩატარების დროს რამოდენიმე მერხს მიადგამენ ერთმანეთს და ახდენენ ცდის დემონსტრირებას. ქიმიური რეაქტივები განთავსებულია ცალკე კარადებში . აქვთ ფიზიკის მოძრავი ლაბორატორია. ძირითადად ხდება გაკვეთილზე საკლასო ოთახში გატანა საჭირო რესურსისა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას; ისინი კომპლექსური დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა გამოიყენეონ ცოდნის სამივე კატეგორია და სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენეონ ცხოვრებაში.

- უცხოური ენები

4. უცხოური ენის კათედრის მიერ შერჩეულ ძირითად რესურსზე (გრიფირებული სახელმძღვანელოები), წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან (დეკლარატიული ცოდნა), შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (ინგლისური ენა, მე-6 კლასი), მოსწავლეებმა უნდა შექმნან ორენოვანი ბუკლეტი. ამისათვის მათ დასჭირდებათ არა მხოლოდ ინგლისური ენის ფარგლებში ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია (სიტყვები, გრამატიკული კონსტრუქციები), არამედ დასჭირდებათ გაიხსენონ ხელოვნების ფარგლებში მუზეუმის შესახებ ნასწავლი ფაქტობრივი ინფორმაცია, მშობლიურ ენაში არსებული ფრაზეოლოგები, დაუკავშირონ იგი ინგლისურის კომპლექსურ დავალებას და შექმნან ხსენებული ბროშურა.

- ესთეტიკური აღზრდა

4. ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას . ვფიქრობ, კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ტექნოლოგიები

4. წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა იმის საშუალებას ვთქვათ, რომ გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია, სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ მასალას თემატური ერთეულის ფარგლებში. იყენებს ელექტრონულ რესურსებს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

4. სკოლის თვითშეფასებისფორმიდან ნათელია და პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცოდნის მიღებას და განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- სახელმწიფო ენა

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება კომპლექსური დავალება და სასწავლო პროექტები. ტექსტის გაგება-გააზრებისთვის საჭირო ცოდნა, მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მახასიათებლები, სათქმელის გამოხატვის საშუალებები, გრამატიკული საკითხები-მასწავლებელთა მსჯელობის მიხედვით, სხვადასხვა ცოდნაა, სხვადასხვა აქტივობით მუშავდება და საბოლოო პროდუქტში ერთიანდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

5. მხოლოდ კურიკულუმებზე დაყრდნობით ძნელია განსაზღვრო რამდენადაა უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თუმცა ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. კომპლექსური დავალების ტიპები და აქტიური სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშრებას, ფუნქციური კონტექსტების გააქტიურებას. როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ კათედრაზე ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა/განხორციელება. განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ისტ-თან სხვადასხვა საგნების ინტეგრაციას.

- უცხოური ენები

5. უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასეევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგალითებიდან ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლი მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად.

- ესთეტიკური აღზრდა

5. პედაგოგმა ინტერვიუს დროს ისაუბრა ინტეგრირებულ გაკვეთილზე , რომელიც ქართულის მასწავლებელთან ერთად ჩაატარა. მისი თქმით, მოსწავლეებმა შეძლეს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დოკუმენტაციაში მოცემულია ფოტოები, რომლებიც მოწმობენ, რომ მოსწავლეებმა, ქართულში შესწავლილი მასალა - წელიწადის 4 დრო - სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში შესწავლილი - დიორამის საშუალებით წარმოადგინეს. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ტექნოლოგიები

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ პროექტული სწავლებისათვის აუცილებელია ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და კონტრუირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**.

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

5. ფიზიკური აღზრდის საგნისთვის შედგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.. შერჩეულ თემებზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებების, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მათი განხორციელება იგეგმება მომდევნო სასწავლო წლიდან, სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა

- სასწავლო პროექტები
- ისგ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

- სახელმწიფო ენა

1. საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, ყოველდღიური სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს. ამ ეტაპზე ყველა სასწავლო თემისთვის არ არის განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებითა და დავალებებით დაიფარება სამიზნე ცნებები, თუმცა აღწერილი ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა თავადვე აღმოაჩინეს მცირე ხარვეზები თავიანთ კურიკულუმში და მათი გამოსწორების სტრატეგიასაც იქვე მიაგნეს, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (I -VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და განზოგადებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე ის კომპლექსური დავალებები, რომელიც განხორციელებული აქვთ თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად და რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს. მომავალში გეგმავენ კიდევ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი, რომლებშიც მოსწავლეთა საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

1 .კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული (სამი სვეტი: თემა, საკითხთა კლასტერი და რესურსები), ზოგ შემთხვევაში მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმში წარმოდგენილია საინტერესოდ შექმნილი ჩარჩოები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისათვის თუმცა, ჩარჩოების ნაწილი დასახვეწია. მასწავლებლებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხოციელებისათვის;

- უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები. შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე, მოახდინოს დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებისა

და სამიზნე ცნებების) მიმართებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ. მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონკრეტულ საკითხს, მაგალითად ისწავლონ ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები და ა.შ. წარმოდგენილი კურიკულუმით დგინდება, რომ I-IV სხვადასხვა კლასებში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება: ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები, ხოლო V-VI კლასებში ემატება კულტურათა დიალოგი. მაგალითად: პრეზენტაცია ჩემი და ჩემი უცხოელი თანატოლების შესახებ; ორენოვანი ბუკლეტი წარმოსახვითი ხელოვნების მუზეუმის შესახებ.

- ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრის მიერ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მომავალი წლის სასწავლო პროცესი, რომელიც დაგეგმილია სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

- ტექნოლოგიები

1. გასაუბრებით, ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის

დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესში გათვალისწინებულია სამიზნე ცნებეზე სამუშაოდ.

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

1. გასაუბრებით, ჩანს და შედგენილი კურიკულუმებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი გათვალისწინებულია სამიზნე ცნებეზე სამუშაოდ. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

- სახელმწიფო ენა

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, ურთიერთობები მოზარდებს შორის და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება ამ თვალსაზრისით კათედრა ხაზს უსვამს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

2. მხოლოდ კურიკულუმებზე დაყრდნობით ძნელია, თუმცა ინტერვიუს შედეგად შეიძლება თქვა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას; როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს კათედრებზე ზიარდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა ისე, რომ ის ემსახურებოდეს არამხოლოდ კონკრეტული საგნის ფაქტობრივ ცოდნას, არამედ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო- სოციალურ განვითარებას. იგეგმება ისეთი აქტივობები, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებზე ორიენტირებას გულისხმობს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად.

- უცხოური ენები

2. უცხოური ენების სამოქმედო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებულ თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მაგ: ანკეტირება თავისუფალი დროის გატარების შესახებ, განცხადება შინაური ცხოველების დახმარების მიზნით, მინი მოთხრობა „სამი საგმირო საქმე“ და სხვა.

- ესთეტიკური აღზრდა

2. კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროექტების ისტორია, საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები. მოწოდებული მასალებიდან ჩანს, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ტექნოლოგიები

2. წარმოდგენილ დოკუმენტაციებში და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა; თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური იუნარები, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და

ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, სკოლის მიერ განხორციელებული/გასახორციელებელი სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, დაუკავშირდეს საგნობრივ კონტექსტს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

- სპორტი

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;, მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები და რესურსი(ასევეე კურიკულუმსი თანდართული პერლინკები)., არაფორმალურ განათლებაში ჩართულობა,. კურილულემებში გაწერილ თემების მიხედვით, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

- სახელმწიფო ენა

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

3. სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების ტაქსონომია. კომპლექსური დავალების შეფასება იყენებდნენ ხორციელდება სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. ახლა კი გამოიყენება განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3.საბუნებისმეტყველო კათედრის 1-6 კლასის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისაა. წარმომიდგინეს რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა . აღნიშნეს , რომ გეგმავენ კვლავ შექმნან რუბრიკები. ამით ისინი მოახერხებენ შემაჯამებელი ქულების დაწერას. ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. დაწყებული აქვთ სოლო ტაქსონომიის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების ცხრილების შექმნა. აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოახერხონ მოსწავლის პიროვნული განვითარება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა.

- უცხოური ენები

3. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ასევე, ყველა კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენის შემდეგ მოსწავლისთვის დასმული კითხვები საკუთარი მუშაობის პროცესის გასიტყვებისთვის ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

- ესთეტიკური აღზრდა

3. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების თითოეულ კომპლექსურზე გაწერას, ასევე, მიმდინარე პროცესების შეფასების ინსტრუმენტზე მუშაობას. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნულს რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

- ტექნოლოგიები

3. სკოლის მასწავლებლები მოტივირებულები არიან გამოიყენონ როგორც ჰოლისტური ასევე განმავითარებელი შეფასებები, როგორც ინტერვიუში გამოიკვეთა ჰოლისტურ შეფასებას იყენებენ როცა სურთ მოსწავლეების ზოგადი შეფასება ხოლო განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ სოლო ტაქსონომიას, ასევე იყენებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსაც ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

3. სკოლის მიერ შექმილი და წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის საგნისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტით გაწერილ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან და გათვლილია მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე, კოლეგების თქმით, ისინი ხშირად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას.. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

- სახელმწიფო ენა

4. კათედრის წევრების თქმით, სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების სისტემის შემუშავებისას განსკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ დაცული იყოს სამართლიანობის, სანდოობისა და გამჭვირვალეობის პრინციპი. ამისათვის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესში. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს, რომ შერჩეული ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს მიზანს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; იყოს სანდო, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას, მკაფიოდ, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების კრიტერიუმები თვალსაჩინოდაა გაკრული საკლასო ოთახებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

4. ძნელია წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის საუძველზე დაასკვნა რამდენად არის შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ის სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ასევე აღნიშნეს, რომ აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას თითოეული თემისათვის შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4..დაწყებითების კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკაში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებმა უნდა შეეძლონ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.

- უცხოური ენები

4. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ასევე, ყველა კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენის შემდეგ

მოსწავლისთვის დასმული კითხვები საკუთარი მუშაობის პროცესის გასიტყვებისთვის ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

- ესთეტიკური აღზრდა

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება.
აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდიკატორთან **შესაბამისობაშია.**

- ტექნოლოგიები

4. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიაური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. აღნიშნული ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- სპორტი

4. მასწავლებლები ფლობენ და იყენებენ პრაქტიკაში შეფასების რამოდენიმე ინსტრუმენტს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა (და თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს), რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის შეფასების სისტემის დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. სკოლამ ვერც ვიზიტის დროს შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან არ ჰქონდა შეფასების ერთიანი სისტემა. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია და ვიზიტის პროცესში შექმნა, ბრძანებით დაამტკიცა და წარმოადგინა სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. (ბრძანება # 169) წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია მოხდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პედაგოგს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გაანალიზების/ შეცვლის გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალებების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ შეფასების ვალიდობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა კათედრების ოქმები და შეფასების რუბრიკები. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს.
შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას, რათა დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის მექანიზმის ფუნქციონირებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის საქმისწარმოების წესის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) ითვალისწინებს მოსწავლეების შეფასების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 169 - მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის საქმისწარმობის წესი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ქართული ენისა და ლიტარატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- STEM პროექტები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად

წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და დაკავშირებულია კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, მიმდინარე სასწავლო პროცესებზე დაკვირვებასა და მიღებული შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სასწავლო პროცესში არსებულ მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორები: ა) კათედრის ყველა წევრი ერთობლივად წარმოადგენდა სკოლას და იცავდა სკოლის ინტერესს ინტერვიუს მიმდინარეობისას; ბ) კურიკულუმი შემუშავდა საერთო ძალისხმევით, რაც გამოიკვეთა მასწავლებელთა უკუკავშირით. აღნიშნეს, რომ სკოლის დირექტორი თავად არის კონსტრუქციული ლიდერის მაგალითი და მათი მხარდამჭერი. ის ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების იდეები მიმართ, წაახალისებს მათ ჩართულობას სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესში პედაგოგები ესწრებიან გაკვეთილებს, სკოლაში მოქმედებს ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რომლის საშუალებითაც კოლეგები ერთმანეთს გამოცდილებებს უზიარებენსაგნობრივ კათედრებზე გეგმაზომიერად ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება მოსწავლეთა მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამები და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის პიროვნულ და ემოციურ განვითარებაზე, სოციალური უნარების გამომუშავებაზე, საგნობრივი საკითხების საფუძვლიან ანალიზზე; კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები, ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი კულტურა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემი გადაჭრაში და ანალიზის შედეგად შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც სკოლა გეგმავს ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად. კათედრის წევრებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობით. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობა მიმდინარეობს როგორც ფორმალურ, ისევე არაფორმალურ გარემოში, აქტიურად ზიარდება გამოცდილება. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ურთიერთდასწრებებსა და უკუკავშირის გაცემა-მიღებას. ტარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე, კონფერენციებზე ინტერნეტ სივრცეში, საგანმანათლებლო პერიოდულ გამოცემებში მოპოვებულ ინფორმაციასა და ინოვაციებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების პორტფოლიოები.
- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრა მზადაა, სკოლის საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლეიც მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს და ეფექტიან უკუკავშირს აძლევს მასწავლებელს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის წევრების მიერ გაზიარებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მონიტორინგს არ აღიქვამენ დასჯის მექანიზმად. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერაა, რაც გამოიხატება სამი საკვანძო მიმართულებით: ანგარიშვალდებულება, მიღწევა და დაგეგმვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე

ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება), მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ეტაპზე იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ მხრივ პრაქტიკას დახვეწენ და გააუმჯობესებენ ახალი კურიკულუმის დანერგვის პარალელურად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შედეგებზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მართალია, მეტწილად ზეპირი განმავითარებელი კომენტარით აღიწერება მოსწავლეთა ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით, მასწავლებლებს ესმით, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას და ამ მოთხოვნას უნდა უპასუხოს მათმა საგნობრივმა კურიკულუმმაც.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეების შეფასებისას გამოიყენება, როგორც დაკვირვება, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი. მოცემულ ეტაპზე მოსწავლეები ფასდებიან შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით, თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის კათედრა ალტერნატიულ ინსტრუმენტებად განიხილავს ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფს, თვისებრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. აცნობიერებს, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციური უნარ-ჩვევები. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;
- წლიური სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;

- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებისას ხელმძღვანელობენ წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა

წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული რეკომენდაციებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია არა მარტო სახელმწიფო ენის კათედრა, არამედ მთელი სასკოლო საზოგადოება. სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, გამოკვეთენ ტიპურ ხარვეზებს, ხვეწენ საეტაპო აქტივობებსა და კომპლექსური ბუნების დავალებებს. იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანმხლები პროცესია და დაკავშირებულია კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.
მთოდოლოგია კათედრის ხელმძღვანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები კონკრეტულ ვადებში გაუზავნოს დირექტორს, მის მოადგილესა და სამეურვეო საბჭოს წევრებს/მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. კათედრის წევრები გეგმავენ, კურიკულუმის დანერგვის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შექმნან გადამუშავებული ვერსია. პროცესს მონიტორინგს გაუწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. წინარე გამოცდილების გათვალისწინება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და არსებულ კურიკულუმშიც ასახულია წინა სასწავლო წლის მიგნებები.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა და ვიზიტის დროსაც სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლამ ვერ წარმოადგინა საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა რეკომენდაცია და სკოლამ ვიზიტის დროს შექმნა და წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით N 167. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ეტაპებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა სკოლის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება შეხედულებებისა და ინტერესების, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე (შეხვედრები კათედრის წევრებთან, მშობლებთან) სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლაში ვიზიტის პროცესში შექმნილი და ბრძანებით დამოწმებული „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იზიარებს სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მისი შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი. პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციულ ერთეულთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშვებული სარეკომენდაციო პაკეტი გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის პრაქტიკის მიხედვით სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან თუ რამდენად კმაყოფილი არიან კურიკულუმებში ასახული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რა მოსწონთ, რისი გაკეთება გაუადვილდათ, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის განმარტებით, შეგროვებულ ინფორმაციას საგნობრივი მასწავლებლები და სამუშაო ჯგუფი იყენებს კურიკულუმის შექმნის პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საგნების პედაგოგები სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს საგნობრივ კურიკულუმებს. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო, რომელიც შემუშავებული წესის მიხედვით შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. ვიზიტის დროს შექმნილ მეთოდოლოგიაში დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, არის აქტიურ კომუნიკაციაში და ინდივიდუალურად მოიძიებს ახალ მიდგომებს, რათა სასწავლო პროცესში უფრო ეფექტურად ჩართოს მოსწავლე.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მეორე უცხო ენა. არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში კი აქტურად არიან ჩართულნი მოსწავლეები.
შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს დირექციის, კათედრებისა და პედაგოგების როლსა და ფუნქციებს კურიკულუმის შემუშავებაში. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება N 167

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

- სახელმწიფო ენა

1. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში წარმოჩენილია სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი ეტაპისთვის სავალდებულო კომპონენტები: სასწავლო თემა, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკები, თუმცა მეტი კონკრეტულობაა საჭირო სასწავლო თემების ფორმულირებისას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ როგორც მესამე თაობის

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩართულ დაწესებულებას, აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება (წარმოდგენილია რამდენიმე ნიმუში), შეხვედრაზევე გაანალიზეს ხარვეზები, რომლებიც შესამჩნევი იყო კურიკულუმის ჩარჩოში და იმსჯელეს დახვეწის სტრატეგიებზე. აღნიშნულით დასტურდება, რომ კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

✓ მათემატიკა

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.

   დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. იგეგმება ყველა კლასის კურიკულუმის ხელახლა გადახედვა და დახვეწა.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათელია, რომ იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტის არსი. იციან, თუ რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის მნიშვნელობა და კურიკულუმის შემუშავების პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მომავალი წლისთვის ძირითადად ის კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური

დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი წლისთვის . შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ კიდევ გადახედავენ და დახვეწავენ წარმოდგენილ კურიკულუმებს 7-9 კლასებში. ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შეტანას. შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის მისაღები არის საგნობრივი კურიკულუმის ასეთი სახით წარმოდგენა. ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება, რომლის განხორციელებით აღწევენ შუალედურ მიზანს და შესაბამისი რესურსები. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა გეგმავს შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას, რაც ითვალისწინებს პროცესის შემაჯამებელ შეფასებას რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის დასასრულს.

განმავითარებელი შეფასება დარჩება, როგორც თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისა და სწავლის ხარისხის ხელშეწყობის გაუმჯობესების მექანიზმი, სადაც მოსწავლეს ენიჭება კრიტიკული როლი, გახადოს სასწავლო პროცესი ჰოლისტური და მოსწავლემ განივითაროს როგორც კოგნიტური და ფიზიკური, ასევე ფსიქო-სოციალური უნარები.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა.

➢ უცხოური ენები

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად, მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი.

➢ ესთეტიკური აღზრდა

1. საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის - მუსიკის და ხელოვნების საგნის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებასა და

პრაქტიკას, განისაზღვრება, როგორც საბაზო საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. კომპლექსური დავალებები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: შეიცავს გამოწვევას, ქმნის ავტონომიის განცდას, იწვევს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის და ფანტაზიის ამუშავებას, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. საბაზო საფეხურზე ესთეტიკის საგნის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შესაბამისად **აკმაყოფილებს** კრიტერიუმს.

საბაზო საფეხურის მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო და მასში წარმოდგენილი სამიზნე ცნება, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას განსაზღვროს მოსწავლის ჩართვა პროცესში, მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირდება ფუნქციურ კომპონენტური ექვსი უნარის დამუშავებასაკენ, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვენ ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებ**ს ამ კრიტერიუმს.

- ✓ სპორტი

1. სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7 -9 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე. შერჩეული სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

2 .კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- ✓ სახელმწიფო ენა

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები (მაგალითად, საზოგადოებაში თანაცხოვრება, ზნეობრივი ღირებულებები, ადამიანის დანიშნულება და ა.შ). გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის-საზოგადოებაში თანაცხოვრება-შესწავლისას ტექსტის (ი.ჭავჭავაძის მოთხრობის ,,სარჩობელაზედ“) გაგება-გააზრებასთან ერთად, როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა. შენიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საკითხი, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტმაგალითები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნბისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები თუმცა, მასწავლებლის როლი წამყვანია კურიკულუმის განვითარებაში, სადაც ყველა შემუშავებული აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს, გამოცდილებას, ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, თვითშეფასებასა და თანაშეფასებას. ამ პროცესის მხარდამჭერია სკოლა, როგორც ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო კლიმატს და უსაფრთხო სასწავლო პროცესს. წლის ბოლოს ტარდება გამოკითხვა თუ რამდენად კმაყოფილი არიან მოსწავლეები კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რა მოსწონთ, რა უადვილდებათ, რა არ მოსწონთ, რისი შეცვლის ან დამატების სურვილი აქვთ. აღნიშნულ მტკიცებულებებს მასწავლებლები იყენებენ კურიკულუმის შექმნის პროცესში.

- ✓ უცხოური ენები

3. საბაზო საფეხურის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ

სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. საბაზო საფეხურის კურიკულუმში ინტეგრირებულია კომპლექსური ტიპის დავალებები: ინგლისური ენა VII-IX კლასები- 4 დავალება თითოეული კლასისთვის, რუსული ენა VII-IX კლასები- 2 დავალება თითოეული კლასისთვის. ყოველივე ეს გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას. კერძოდ:

შემოქმედებითობა, როდესაც მათ უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან ფოტოკოლაჟი, პოსტერი თუ პრეზენტაცია სხვადასხვა თემატიკაზე, ვიდეოკლიპი საკუთარ დღის განრიგზე, რუკა დანიშნულების ადგილამდე, მოირგონ ესა თუ ის როლი და გაითამაშონ კონკრეტული სცენა და სხვა.

კრიტიკული აზროვნება - წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი.

კომუნიკაცია - წარმოდგენილი კურიკულუმებით ირკვევა, რომ მოსწავლეებს უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების თუ როლური თამაშის სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. ასევე, ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებასაც, რადგან მოსწავლეები აკეთებენ თვით რეფლექსიას კომპლექსური დავალებების დასრულებისას და ასევე მისი განხორციელების ეტაპების დროსაც. მეცხრე კლასის რუსული ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უხდება წინასწარ მომზადებული კითხვების საშუალებით ჩაატაროს გამოკითხვა თანაკლასელებთან ახალი სასწავლო წლის დასაწყისში დასახულ მიზნებსა და გეგმებზე. გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით დაწეროს წერილობითი ანგარიში და წარადგინოს კლასის წინაშე. ამ ერთი კონკრეტული დავალებიდან მოსწავლეს უვითარდება როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

კოლაბორაცია - მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილია როლური თამაშები, ანკეტირება და გამოკითხვა, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ, იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა.

მოქალაქეობა - მოსწავლეებში მოხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვაც იმდენად, რამდენადაც ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შესრულების დროს, როგორიცაა: როლური თამაშის, დიალოგების, გამოკითხვის დროს

ისინი ანგარიშვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ. წარმოდგენილი სასკოლო პროექტიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები სხვადასხვა წლებში მუშაობენ სხვადასხვა პრიორიტეტულ თემებზე (მაგალითად, გარემოს დაცვა) და ამავე თემებზე გეგმავენ და ასრულებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს პროექტის ფარგლებში.

ხასიათი/ნებელობა - საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვა და განხორციელება მოსწავლეებს უხდებათ დავალების შესრულებისას, როცა ისინი თავად ირჩევენ დავალების წარდგენის ფორმას. მაგ: რუსული ენისთვის პრეზენტაცია, პოსტერი ან ვიდეოკლიპი.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალების შესრულების დროს მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას ირჩევენ მათთვის სასურველ ფორმას საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. (მაგ: პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი და ა.შ).

გარდა ამისა, ინტერნეტ სივრციდან მოპოვებული მასალებით მასწავლებლები გეგმავენ დიფერენცირებულ აქტივობებსა და გაკვეთილებს. მომავალში იგეგმება სარემედიაციო პროგრამებზე მუშაობის დანერგვა როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პროცესში - ვკითხულობთ თვითშეფასების კითხვარში.

სკოლაში საბაზო საფეხურზე სსმ მოსწავლე არ ჰყავთ, თუმცა შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და საჭიროების შემთხვევაში მოარგებენ კონკრეტულ მოსწავლეს. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ✓ სპორტი

3. სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები იყო, თუმცა ჩვენს საგანში არ იყო წარმოდგენილი , რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდაში არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

- ✓ სახელმწიფო ენა

3. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) დავალების პირობის მოდიფიცირების უნარი; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. კათედრის წევრების განმარტებით, დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, ერთსა და იმავე საკითხსა თუ ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

3. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საჭიროების შემთხვევაში, რემედიაციას. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. მასალებში წარმოდგენილია *IX* კლასელი მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, სსსმ მოსწავლეთათვის ხდება როგორც კომპლექსური დავალების ადაპტირება ასევე, შეფასების რუბრიკის მოდიფიცირება საგანში მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად. თუმცა ადაპტირებული კომპლექსური დავალება და შეფასების რუბრიკა სკოლას წარმოდგენილი არ აქვს. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, არსებობს რესურსოთახი, სადაც სპეცმასწავლებელი მათთვის მორგებული რესურსებით ახორციელებს

აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე და სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, ბიბლიოთეკა. ყველა საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში აღნიშნულ სივრცეებს, ეცნობან მეთოდურ ლიტერატურას პროფესიული განვითარების მიზნით. აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა მათთვის მეორე სამასწავლებლოა. იქ აწყობენ კოლეგებთან შეხვედრებს. სკოლის პირველ სართულზე ფოიეში აქვთ სივრცე, სადაც აწყობენ ერთობლივი და საკლასო პროექტების პრეზენტაციებს. კედლებზე გამოკრულია ქიმია-ბიოლოგიის მასაწლებლის მიერ განხორციელებული პროექტების მასალები, კომპლექსური დავალების პროცესში მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი-პოსტერი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ბუნებისმეტყველების გაკვეთილი განახორციელა არაფორმალურ გარემოში-სკოლის გარეთ ტყე-პარკში, მოსწავლეებმა იქ არსებული მცენარეების ფოთლებით შექმნეს ჰერბარიუმი. პროექტმა მოსწავლეების კმაყოფილება გამოიწვია და მასწავლებელმა დასახულ მიზანსაც მიაღწია. შესაბამისად მასწავლებელი გეგმავს მომავალ წელს განახორციელოს იგივე სახით საგაკვეთილო პროცესი. უყვართ მრავალფეროვანი აქტივობები. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში კედლებზე გამოფენილია მათი მუშაობის ამსახველი მასალები, მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქტები. სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები. აქვთ ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, რომლებსაც იყენებენ მიზნობრივად. აღნიშნეს, რომ ასეთი ფორმით მუშაობა მოსწავლის მაქსიმალურ

ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ. ჰყავთ სსსმ მოსწავლეები და მათი შესაბამისი ისგ . მომდევნო წელსაც აგრძელებენ მათთან მუშაობას და შესაბამისად ახდებენენ დავალებების შერჩევას განსაზღვრული თემის ფარგლებში.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსები და აქტივობები. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ შუალედურ მიზნებზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესსე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა).

- ✓ **უცხოური ენები**

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (ვიდეოკლიპი, პოსტერი, PP პრეზენტაცია). წარმოდგენილი „მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის აღრიცხვის ფურცელი“დან დგინდება, რომ უცხოური ენის მასწავლებლები სწავლის სირთულის მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ დამატებით, ინდივიდუალურად. მუშაობა მიმდინარეობს სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლის, მშობლის აქტიური ჩართულობით.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

3. სკოლის მიერ თავდაპირველად ატვირთული იყო შეფასების რუბრიკები, რომლებიც უფრო ზოგად ხასიათს ატარებდა. თუმცა, გასაუბრების შემდეგ, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის პედაგოგმა წარმოადგინა საბაზო საფეხურისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ სპორტი

3. სკოლის თვითშეფასების ფორმისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს. სკოლის მასალაში ინდგეგმები იყო, თუმცა ჩვენს საგანში არ იყო წარმოდგენილი , რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდაში არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

- ✓ სახელმწიფო ენა

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართების გამოსაკვეთად მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიდან ასახელებენ ზეპირ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. აღნიშნავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ექსპერტებმა გააცნეს ახალ სტანდარტზე დაფუძნებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათი შედგენის პრინციპი. ავტორიზაციის მომდევნო ეტაპზე, როცა შეიმუშავებენ დავალებათა პირობებსა და საეტაპო აქტივობების ინსტრუქციებს, იხელმძღვანელებენ სწორედ ამ შაბლონებითა და საგნობრივი სტანდარტებით, რათა შეფასების რუბრიკებში წარმოაჩინონ დავალების მოთხოვნებისა და სამიზნე ცნებების კავშირი.

მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას,რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- **მათემატიკა**

4. სკოლის მასალებში არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე. თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანების შესრულებას და ფარავს გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემისათვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

- **უცხო ენები**

4. უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშინაო და ტესტური დავალებებისთვის, პრეზენტაციისა და საგაკვეთილო მასალის ცოდნისა და გამოყენების შეფასებისთვის, რომელიც გვაჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. 7-9 კლასებში აკეთებენ განმსაზღვრელ შეფასებას . ძირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . აღნიშნე, რომ ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს .

უფრო ხშირად გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ვიდრე აქამდე. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.

ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისათვის.

- **სპორტი**

4. სკოლოის მიერ შედგენილია თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურისათვის., რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ისინი საჭიროებს დახვეწას, რადგან იყო მცირედი უზუსტობები., მასწავლებლებს მიეცათ რჩევები, რასც გაითვლისწინებენ სამომავლოდ, ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- **სახელმწიფო ენა**

5. კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეების წინა სასწავლო წლის გამოცდილება, მათი საგნობრივი ცოდნა, თემებთან დაკავშირებული ინტერესები. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენია, როგორ ადგენს მოსწავლეთა ინტერესებსა თუ საჭიროებებს, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

5. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაზეც ისაუბრეს ინტერვიუს დროს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა გეგმავს მომდევნო წლის კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- უცხო ენები

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნა კეთედრის წევრების თანამშრომლობითა და ჩართულობით, კურიკულუმის აგება მოახდინეს ისეთი თემების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს. კათედრის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით ასევე

განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შედგენა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის პოგრამა, ხოლო, საკითხების შერჩევა იმავე კლასის სხვა საგნების თემატიკიდან გამომდინარე, რათა გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში გამოგზავნილი აქვს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი (რუსული ენა - მე-9 კლასი, სადაც მოცემულია მთლიანი კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. მართალია, აღნიშნულ დოკუმენტში რუსული ენისთვის პრობლემად გამოტანილია წერითი კომუნიკაცია. მასწავლებელმა საშუალო საფეხურზე გაითვალისწინა კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია წერითი კომუნიკაციის ჟანრის (წერილი, სარეკლამო ბროშურა, დღიური) დამუშავებაზე, ხოლო, საბაზო საფეხურის კურიკულუმში კი მცირე ოდენობითაა (მხოლოდ -წერილობითი ანგარიში) შეთავაზებული ისეთი კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც აღნიშნულ მიმართულებას გააუმჯობესებს. შესაბამისად, შესაძლოა მომავალშიც ვერ მოხდეს საბაზო საფეხურზე აღნიშნული პრობლემის დაძლევა. სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს ისეთი კომპლექსური ტიპის დავალება შესთავაზოს, რითაც წერითი კომუნიკაციის ჟანრს დაამუშავებს.

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავაშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს ითვალისწინებენ და მომავალ წელს შესაბამისად გეგმავენ იგივე თუ შენაცვლებული დავალებების განხორციელებას. არის კომპლექსურები, რომლებშიც ჩაამატეს მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამისი აქტივობები,მისცეს მოსწავლეებს სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოედგინათ პრეზენტაცია. ეს მოსწავლეების ინტერესს ზრდის. საკუთარ გამოცდილებებს განიხილავენ კათედრაზე, ჯგუფებში. არის შემთხვევები სხვა კათედრის წევრებთან თანაშრომლობისა, კერძოდ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის და ჩატარების მიზნით. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქმნის მომავალ კურიკულუმს.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- სსგ მონიტორინგის გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები მოდიფიცირებული;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის;
- ბრძანება ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

- ✓ სახელმწიფო ენა

1. კურიკულუმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო თემები შერჩეულია მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც ერთ-ერთი სტრატეგიაა ბავშვის გააქტიურებისა და სასწავლო მოტივაციის გაზრდისთვის. მაგალითად, თემა ,,საზოგადოებაში თანაცხოვრება", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები, მხატვრული ტექსტების საშუალებით, მათი ასაკისთვის ნაცნობ და აქტუალურ პრობლემებს შეეხებიან, მოითხოვს დაფიქრებას, ამოსავალი ტექსტის მინიშნებების ძიებასა და სიღრმისეულ გააზრებას, მათზე დაყრდნობით თხრობის ახალი დეტალებით შევსებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ➢ მათემატიკა

1. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. პოზიტიური საკლასო კლიმატი კი იძლევა საშუალებას დაგეგმილი კურიკულუმების რეალიზება მოხდეს ისე, რომ მოსწავლე იყოს ცენტრალური სუბიექტი და შეძლოს გადმოსცეს, თავისი სიტყვებით ახსნას იდეები და

გაეცნოს ახალ ინფორმაციას. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. საბუნებისმეტყველო კათედრის 7-9 კლასის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. აღნიშნეს: გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას ვაცნობთ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტმაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული მოსწავლე ამუშავებს მას , თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. ჩვენ, მასწავლებლები მათთან ერთად ვადევნებთ თვალს, ვუხსნით გზადაგზა, ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ბუნებისმეტყველების მიმართულებით, იყენებენ ბიბლიოთეკას, გარე სივრცეს, აქვთ გამოფენა ნამუშევრებისა და გეგმავენ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი აქტივობები.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას; როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ გარდა ფორმალური

განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც. კურიკულუმის განხორციელების პროცესში საინტერესო აქტივობების წარმართვა და სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნა მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით მოსწავლე ეძებს სირთულეების დაძლევის გზებს, ამიტომაც ისინი შემოქმედებითად უდგებიან საკითხის შესწავლას;

- ✓ უცხოური ენები

1. უცხოური ენების კათედრამ, მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების საბაზო საფეხურზე ზოგიერთი თემისთვის გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული ტიპის დავალებები. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული.

- ➢ ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრა საბაზო საფეხურზე გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. შესაბამისად, სკოლა **აკმაყოფილებს** ამ ინდიკატორს.

- ✓ სპორტი

1. 7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, რომ ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

- ✓ სახელმწიფო ენა

2. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ➢ მათემატიკა

2. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს ამ ეტაპზე არ ახლავს თემატური მატრიცები, ჩანს ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ეს დაადასტურეს მასწავლებლებმაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტმაგალიტების/მაგალითთები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი.

- ✓ უცხოური ენები

2. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. განვიხილავ ერთ კონკრეტულ მაგალითს. ინგლისური ენის მე-9 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს ნაცნობ თემატიკზე დაყრდნობით პრეზენტაციის

შექმნას, მოსწავლეებმა უნდა ჩაატარონ ჩაატარე გამოკითხვა თანატოლებში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ და შექმნას რესურსი (პოსტერი ან PowerPoint პრეზენტაცია), სადაც დიაგრამების სახით პროცენტულად აღწერენ გამოკითხვის შედეგებს. ამ კონკრეტული დავალებისთვის მოსწავლემ უნდა გამოიყენოს ნაცნობი ლექსიკა ჯანსაღი ცხოვრების თემაზე ლექსიკა, გრამატიკაც ასევე განვლილი მასალიდანაა შერჩეული (ზედსართავი სახელის შედარებითი და აღმატებითი ხარისხი).

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

2. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ➢ სპორტი

2. საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი , .პედაგოგეთან გასაუბრება და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით , ახლის დაშენებით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად გაწერილი კომპლექსური დავალებებით სწავლებას , თუმცა ისინი ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფენ სესაბამისი დავალებების მოწესრიგებას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

- ✓ სახელმწიფო ენა

3. მასწავლებლების თქმით, მათ მიერ წახალისებულია მოსწავლის თვითრეგულირებული სწავლა, მაგალითად, მეტაკოგნიტური ფიქრი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება შესრულებული პრეზენტაცია პირობას, რა არის მკაფიო და ბუნდოვანი წარმოჩენილ ცოდნაში, გამოყენებულ სტრატეგიებში. მასწავლებლები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე (3-2-1, თვითშეფასების კითხვარი,

სადიაგნოსტიკი ტესტები), რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს. კათედრების შეთანხმებით, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო ტექსტებს მოუყაროს თავი და მისცეს მოსწავლის პორტფოლიოს სახე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ➢ საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ შესრულებული აქტივობებისა

და კომპლექსური დავალებების კავშირზე. ხშირად სვამენ კითხვას -როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას დავალების შესასრულებლად.

- ✓ უცხოური ენები

3. კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელება დაგეგმილია უცხოური ენების კათედრაზე შემავალი ყველა უცხოური ენისთვის, თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს თუ როგორ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად; წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). სხვადასხვა ეტაპზე გათვალისწინებულია მსჯელობა შემდეგ მეტაკოგნიტურ კითხვებზე: რისი შესწავლა დაგჭირდება? რაში დაგჭირდება დახმარება? რამდენად ეფექტიანად გამოიყენე საჭირო ენობრივი საშუალებები და არავერბალური ხერხები? რომელმა სტრატეგიებმა შეგიწყო ხელი წინსვლაში? რომელი სტრატეგიები დაგეხმარება უკეთესი შედეგის მიღწევაში? და სხვა.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

3.სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების გამოვლენას.
გამოიკვეთა აგრეთვე, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომლებიც ეხმარებათ თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. შესაბამისად, კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ✓ სპორტი

3. კოლეგების მონათხრობით, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება.

სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან საგანში აქამდე არ ჰქონდათ შესაბამისად გაწერილი კომპლექსური დავალებები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

- ✓ სახელმწიფო ენა

  4. გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელეს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებისთვის მუშაობას. სექტემბრამდე კურიკულუმის ჩარჩო შეივსება სწორედ ამ ტიპის დავალებებით. სხვა შემთხვევაშიც, თემის შესწავლისას, სრულდება აქტივობები და ისმება ისეთი შეკითხვები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობისეული ცოდნის შეძენა-აღმოჩენას. შენიშნეს ისიც, რომ ლიტერატურული ტექსტის დამუშავება სხვაგვარად წარმოუდგენელია. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

  4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომ მოხდეს მიღებული დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენება ცხოვრებისეულ ინტერაქციაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლოპროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლასი არსებული რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიაში და კომპიუტერების ოთახში. ლაბორატორიაში დამონტაჟებული არის სველი წერტილი , კედელზე გაკრულია უსაფრთხოების წესები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა არის პლაკატისა და საჭირო ხელსაწყოს გატანა საკლასო ოთახშიც. არ აქვთ სადემონსტრაციო მაგიდა, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ცდის ჩატარების დროს რამოდენიმე მერხს მიადგამენ ერთმანეთს და ახდენენ ცდის დემონსტრირებას. ქიმიური რეაქტივები განთავსებულია ცალკე კარადებში . აქვთ ფიზიკის მოძრავი ლაბორატორია. ძირითადად ხდება გაკვეთილზე საკლასო ოთახში გატანა საჭირო რესურსისა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას;

- ✓ უცხოური ენები

4. უცხოური ენის კათედრის მიერ შერჩეულ ძირითად რესურსზე (გრიფირებული სახელმძღვანელოები), წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან (დეკლარატიული ცოდნა), შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს

(პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება.

- ესთეტიკური აღზრდა

4. ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში, კომპლექსურ დავალებებსა და არაფორმალურ აქტივობებში.

პედაგოგმა საუბრისას აღნიშნა, რომ მოსწავლეები იმყოფებოდნენ მუზეუმში, დაბრუნებულებმა შთაბეჭდილებების საფუძველზე შექმნეს ექსპოზიციები და გამოფინეს სასკოლო სივრცეში. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ✓ სპორტი

4. პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებოდა ესაბამისად გაწერილი კომპლექსური დავალებებით . ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

- ✓ სახელმწიფო ენა

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება კომპლექსური დავალება და სასწავლო პროექტები. ტექსტის გაგება-გააზრებისთვის საჭირო ცოდნა, მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მახასიათებლები, სათქმელის გამოხატვის საშუალებები, გრამატიკული საკითხები-მასწავლებელთა მსჯელობის მიხედვით, სხვადასხვა ცოდნაა, სხვადასხვა აქტივობით მუშავდება და საბოლოო პროდუქტში ერთიანდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

5. მხოლოდ კურიკულუმებზე დაყრდნობით ძნელია განსაზღვრო რამდენადაა უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თუმცა ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. კომპლექსური დავალების ტიპები და აქტიური სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშრებას, ფუნქციური კონტექსტების გააქტიურებას.

- ✓ უცხოური ენები

5. უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ტექნოლოგიები, ხელოვნება და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასეევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგალითებიდან ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

5. კათედრის მასწავლებლები ხშირად თანამშრომლობენ, გამოკვეთენ ისეთ თემებს, რომლებზედაც ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა არის შესაძლებელი და ახორციელებენ მას. საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების

პედაგოგმა აღნიშნა, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. ეს გამოცდილება ჩანს დაწყებით საფეხურზე ქართულთან ინტეგრირებაში, რომელსაც საბაზო საფეხურზეც გამოიყენებს.
სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

✓ სპორტი

1. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, სადაც არის როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მოიმართულება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები;
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები
- ისგ
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

- სახელმწიფო ენა

1. საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, ყოველდღიური სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს. ამ ეტაპზე ყველა სასწავლო თემისთვის არ არის განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებითა და დავალებებით დაიფარება სამიზნე ცნებები, თუმცა აღწერილი ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა თავადვე აღმოაჩინეს მცირე ხარვეზები თავიანთ კურიკულუმში და მათი გამოსწორების სტრატეგიასაც იქვე მიაგნეს, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

✓ მათემატიკა

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (VII-IX კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და განზოგადებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე ის კომპლექსური დავალებები, რომელიც განხორციელებული აქვთ თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად და რომელთა

განხორციელებასაც გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს. მომავალში გეგმავენ კიდევ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი, რომლებშიც მოსწავლეთა საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული. მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები.

- ✓ უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები. შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე, მოახდინოს დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონრეტულ საკითხს, მაგალითად ისწავლონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, სტატიის წერა, წერილობითი ანგარიშის გადმოცემა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტრურული მახასიათებლები და ა.შ. წარმოდგენილი კურიკულუმით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე ყველა კლასში მუშავდება სამივე სამიზნე ცნება: ჟანრი, სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები, ხოლო კულტურათა დიალოგი იშვიათად გვხვდება. სასურველია საბაზო საფეხურზე მეტად დამუშავდეს სამიზნე ცნება „კულტურათა დიალოგი“

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

1. ესთეტიკის კათედრის მიერ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია მომავალი წლის სასწავლო პროცესი, რომელიც დაგეგმილია სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების და საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.
პედაგოგთან ინტერვიუს დროს მქონდა რამოდენიმე კითხვა ცნებასა და ქვეცნებებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც დაზუსტდა, რომ ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს კურიკულუმს გადახედოს, უფრო დახვეწოს და საბოლოო ვერსია შეიმუშაოს. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ✓ სპორტი

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით (ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩობი ; სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენებას თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუდვილოებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას. თუმცა არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის დასტურად, არც მე მომითხოვია, რადგან აღნიშნეს რომ აქამდე არ ახორციელებდნენ პროცესს სათანადოდ გაწერილი კომპლექსურებით. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

- ✓ სახელმწიფო ენა

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, ადამიანი საზოგადოება, ცხოვრების საზრისი, ურთიერთობები-მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს, ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ,

შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება ამ თვალსაზრისით კათედრა ხაზს უსვამს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

2. მხოლოდ კურიკულუმებზე დაყრდნობით ძნელია, თუმცა ინტერვიუს შედეგად შეიძლება თქვა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

- ✓ უცხოური ენები

2. უცხოური ენების სამოქმედო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებულ თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მაგ: პოსტერი თემაზე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების გზები, ჯანსაღი ცხოვრების წესი, „უთხარი დაავადებებს არა“ და სხვა.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

2. კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროექტების ისტორია, ,,გაცოცხლებული ნახატები“, მეორადი ნივთებისაგან შექმნილი ხელოვნების ნიმუშები, გამოფენები. სხვადასხვა საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები.
მოწოდებული მასალებიდან ჩანს, რომ სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები, პროექტები, ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, განვითარებას, ემოციების მართვას. მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა. ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს, უყალიბდებათ პასუხისმგებლობა და ემპათია. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ✓ სპორტი

2. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც (ამას თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს) და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის

სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- ✓ სახელმწიფო ენა

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

3. სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების ტაქსონომია. კომპლექსური დავალების შეფასება ხორციელდება სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, ახლა კი გამოიყენება განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

3.საბუნებისმეტყველო კათედრის 7-9 კლასის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისაა. წარმომიდგინეს რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა . აღნიშნეს , რომ გეგმავენ კვლავ შექმნან რუბრიკები. ამით ისინი მოახერხებენ შემაჯამებელი ქულების დაწერას. ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. დაწყებული აქვთ სოლო ტაქსონომიის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების ცხრილების შექმნა. აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოახერხონ მოსწავლის პიროვნული განვითარება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა.

- ✓ უცხოური ენები

3. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ასევე, ყველა კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენის შემდეგ მოსწავლისთვის დასმული კითხვები საკუთარი მუშაობის პროცესის გასიტყვებისთვის ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

3. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი (საბაზო საფეხურზე არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა) შეფასების რუბრიკები. აღნიშნულ რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავს დამატებით შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების

სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

- ✓ სპორტი

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურითვის თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

- ➢ სახელმწიფო ენა

4. კათედრის წევრების თქმით, სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების სისტემის შემუშავებისას განსკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ დაცული იყოს სამართლიანობის, სანდოობისა და გამჭვირვალეობის პრინციპი. ამისათვის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესში. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს, რომ შერჩეული ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს მიზანს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; იყოს სანდო, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას, მკაფიოდ, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების კრიტერიუმები თვალსაჩინოდაა გაკრული საკლასო ოთახებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ➢ მათემატიკა

4. საბაზო საფეხურზე არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და ძნელია დაასკვნა რამდენად არის შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ის სრულ

შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ასევე აღნიშნეს, რომ აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას თითოეული თემისათვის შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4.საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკაში ასახულია თუ რომელ შედეგზე მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებმა უნდა შეეძლონ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.

- ✓ უცხოური ენები

4. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ასევე, წარმოდგენილი სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას პრეზენტაციისას, საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა კლასტერისთვის, რომელსაც ის

ერთვის, შეფასება არის ვალიდური და გამჭირვალე. სკოლა განმსაზღვრელ შეფასებას იყენებს მიმდინარე საკლასო და საშინაო, ასევე შემაჯამებელი დავალებებისათვის. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ რუბრიკები შემუშავებულია წინასწარ, მოსწავლეთა ჩართულობით და გამოკრულია კლასში თვალსაჩინო ადგილას.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება.

- ✓ სპორტი

4. საგნის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და კათედრის დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, კიდევ ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. სკოლამ ვერც ვიზიტის დროს შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან არ ჰქონდა შეფასების ერთიანი სისტემა. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია და ვიზიტის პროცესში შექმნა, ბრძანებით დაამტკიცა და წარმოადგინა სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. (ბრძანება # 169) წარმოდგენილი წესის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია მოხდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პედაგოგს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გაანალიზების/ შეცვლის გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალებების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. ინტერვიუთი

დაზუსტდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ შეფასების ვალიდობას, სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა კათედრების ოქმები და შეფასების რუბრიკები.
შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტის ანალიზი და სკოლის არსებული პრაქტიკა გვაძლევს საშუალებას, რათა დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი ვერიფიკაციის წესის ამოქმედება ხელს შეუწყობს შეფასების სისტემის ხარისხის მექანიზმის ფუნქციონირებას.

- სახელმწიფო ენა

5. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

5. როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, ამ ეტაპზე სკოლაში ვერიფიკაცია გამოიყენება განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შეფასების მიხედვით. „შემაჯამებელი დავალების ანალიზი განხორციელებული შეფასების მიხედვით გვაწვდის ინფორმაციას კლასის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, რომელ მისაღწევ შედეგზე გადის, რა არის ამ შემაჯამებელ სამუშაოების დაგეგმვაში, ჩატარებაში და შეფასებაში გასაუმჯობესებელი და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.“ - წერია თვითშეფასების ფორმაში, რომელიც ასევე დაადასტურეს მასწავლებლებმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ესთეტიკის კათედრა

5. თვითშეფასების კითხვარში არის ჩანაწერი რომ, სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლაში არსებობს შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რის მიხედვითაც ხდება მოსწავლის მიღწევის ანალიზი, რათა თვალსაჩინო გახდეს,

რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. შესაბამისად სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოცემულ კრიტერიუმს.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება.

- სპორტი

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და საგნის პედაგოგებთან ინტერვიუდანაც ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შემდგომშიც აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლის საქმისწარმოების წესის (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) ითვალისწინებს მოსწავლეების შეფასების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაციის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

- სახელმწიფო ენა

6.პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია,

იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

6. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შესაბამისად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

- ესთეტიკის კათედრა

6. მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულების სათანადო აღრიცხვის მაწარმოებელი მატერიალური დოკუმენტი (ჟურნალი) და პირადი საქმე ინახება 3 წლის ვადით. მას შემდეგ რაც, სკოლა გადავიდა შეფასების ელექტრონულ სისტემაზე, შეფასების აღრიცხვა მიმდინარეობს ელექტრონული ჟურნალის ვებ-გვერდზე: onlineschool.emis.ge - ზე და ინახება შესაბამისი წესით - ვკითხულობთ თვითშეფასების კითხვარში. ამ კრიტერიუმით სკოლა **აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

- სპორტი

6.წარმოებული ელექტრონული ჟურნალი, უზრუნველყოფს საბაზო საფეხურისთვის , შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება მისი პირადი ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირდ საქმეში ფიზიკურად. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 169 - მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის საქმისწარმობის წესი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- ქართული ენისა და ლიტარატურის მეთოდოლოგიური ჩარჩო;
- STEM პროექტები.
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო
1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში კურიკულუმის განვითარება თავისთავად წარმოადგენს ციკლურ პროცესს. ციკლური პროცესი კი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და დაკავშირებულია კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან, მიმდინარე სასწავლო პროცესებზე დაკვირვებასა და მიღებული შედეგების ანალიზთან. სკოლის არსებული პრაქტიკა და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესში პედაგოგები ესწრებიან გაკვეთილებს, სკოლაში მოქმედებს ,,კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“, რომლის საშუალებითაც კოლეგები ერთმანეთს გამოცდილებებს უზიარებენსაგნობრივ კათედრებზე გეგმაზომიერად ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება მოსწავლეთა მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში ეს არის მოდიფიცირებული სასწავლო პროგრამები და დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემი გადაჭრაში და ანალიზის შედეგად შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც სკოლა გეგმავს ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების პორტფოლიოები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შედეგებზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

მოსწავლეების შეფასებისას გამოიყენება, როგორც დაკვირვება, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

3. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
4. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი მტკიცდება ყოველ ახალ სასწავლო წელს. კურიკულუმის დამტკიცებისას ხელმძღვანელობენ წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შედეგად შემუშვებული რეკომენდაციებით.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც ეფუძნება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანმხლები პროცესია და დაკავშირებულია კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.
მთოდოლოგია კათედრის ხელმძღვანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები კონკრეტულ ვადებში გაუზავნოს დირექტორს, მის მოადგილესა და სამეურვეო საბჭოს წევრებს/მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3	☐ შეესაბამება

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში არ იძებნებოდა და ვიზიტის დროსაც სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლამ ვერ წარმოადგინა საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. ვიზიტის პროცესში სკოლას მიეცა რეკომენდაცია და სკოლამ ვიზიტის დროს შექმნა და წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით N 167. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ეტაპებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა სკოლის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება შეხედულებებისა და ინტერესების, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე (შეხვედრები კათედრის წევრებთან, მშობლებთან) სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის

პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

5. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლაში ვიზიტის პროცესში შექმნილი და ბრძანებით დამოწმებული „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იზიარებს სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მისი შექმნის პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული უკუკავშირი. პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციულ ერთეულთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშვებული სარეკომენდაციო პაკეტი გათვალისწინებული იქნება ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. სკოლის პრაქტიკის მიხედვით სასწავლო წლის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, აქტიური კომუნიკაცია მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებთან თუ რამდენად კმაყოფილი არიან კურიკულუმებში ასახული კომპლექსურ დავალებებზე მუშაობით, რა მოსწონთ, რისი გაკეთება გაუადვილდათ, რის შეცვლას ისურვებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლის განმარტებით, შეგროვებულ ინფორმაციას საგნობრივი მასწავლებლები და სამუშაო ჯგუფი იყენებს კურიკულუმის შექმნის პროცესში.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საგნების პედაგოგები სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ერთობლივად გეგმავენ სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა აერთიანებს საგნობრივ კურიკულუმებს. აღნიშნული დოკუმენტი არის საჯარო, რომელიც შემუშავებული წესის მიხედვით შესათანხმებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს და მტკიცდება

პედაგოგიურ საბჭოზე. ვიზიტის დროს შექმნილ მეთოდოლოგიაში დირექციის, საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების როლი და ფუნქციები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესში პედაგოგი კომპლექსური დავალების ეტაპების, შეფასების შესახებ ინფორმაციას უზიარებს მშობლებს, არის აქტიურ კომუნიკაციაში და ინდივიდუალურად მოიძიებს ახალ მიდგომებს, რათა სასწავლო პროცესში უფრო ეფექტურად ჩართოს მოსწავლე.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მეორე უცხო ენა. არჩევითი საგნებისა და წრეების შერჩევაში კი აქტურად არიან ჩართულნი მოსწავლეები.
შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავების პროცსში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს დირექციის, კათედრებისა და პედაგოგების როლსა და ფუნქციებს კურიკულუმის შემუშავებაში. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ბრძანება N 167

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

6. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

- სახელმწიფო ენა

1. სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში წარმოჩენილია სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი ეტაპისთვის სავალდებულო კომპონენტები: სასწავლო თემა, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს უჭირთ საგნობრივი სტანდარტის ტერმინოლოგიით საუბარი, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ როგორც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩართულ დაწესებულებას, აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება დაწყებით და საბაზო საფეხურზე. კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს საფუძვლიანი მცდელობა აქ გამოცდილების საშუალო საფეხურზე გადმოტანისა. შეხვედრაზევე გაანალიზეს ხარვეზები, რომლებიც შესამჩნევი იყო კურიკულუმის ჩარჩოში და იმსჯელეს დახვეწის სტრატეგიებზე. აღნიშნულით დასტურდება, რომ კათედრას აქვს პოტენციალი, სრულყოს კურიკულუმი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- **მათემატიკა**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით.

დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. თუმცა არ არის შედგენილი XI კლასის კურიკულუმი, რაც იმით აიხსნება, რომ კურიკულუმის შედგენისას აღნიშნული კლასის სახელმძღვანელო არ იყო დამტკიცებული . კონტექსტმაგალითები და კომპლექსური დავალებები წარმოდგენილია მხოლოდ X კლასის კურიკულუმში . რომელიც შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. როგორც ინტერვიუზე აღინიშნა, მასწავლებლები გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოს სრულად შევსებას. ასევე იგეგმება ყველა კლასის კურიკულუმის ხელახლა გადახედვა და დახვეწა. კომპლექსური დავალებები შეირჩევა მოსწავლის ასაკის შესაბამისად. რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

1.საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ნათელია, რომ იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტის არსი. იციან, თუ რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. თითოეულ მასწავლებელს გაანალიზებული აქვს კურიკულუმის მნიშვნელობა და კურიკულუმის შემუშავების პრინციპი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალებები შეარჩიეს ერთმანეთთან თანამშრომლობითა და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მომავალი წლისთვის ძირითადად ის კომპლექსური დავალებები შეარჩიეს, რომლებზე მუშაობაც წინა წლებში შედეგიანი აღმოჩნდა. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი წლისთვის . შეხვედრის დროს აღნიშნეს, რომ კიდევ გადახედავენ და დახვეწავენ წარმოდგენილ კურიკულუმებს . ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებისა და რესურსების შეტანას. შერჩეული აქვთ დანერგვის პროცესში მიწოდებული კურიკულუმის ფორმა. აღნიშნეს კიდეც, რომ მათთვის მისაღები არის საგნობრივი კურიკულუმის ასეთი სახით წარმოდგენა. ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება, ქვეცნებები, საკითხები, გათვალისწინებული კომპლექსური დავალება, რომლის განხორციელებით აღწევენ შუალედურ მიზანს და შესაბამისი რესურსები. მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლა გეგმავს შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას, რაც ითვალისწინებს პროცესის შემაჯამებელ შეფასებას რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის დასასრულს. განმავითარებელი შეფასება დარჩება,

როგორც თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკისა და სწავლის ხარისხის ხელშეწყობის გაუმჯობესების მექანიზმი, სადაც მოსწავლეს ენიჭება კრიტიკული როლი, გახადოს სასწავლო პროცესი ჰოლისტური და მოსწავლემ განივითაროს როგორც კოგნიტური და ფიზიკური, ასევე ფსიქო-სოციალური უნარები. აღნიშნეს, რომ მათთვის შეფასების ეს ფორმა უფრო მისაღებია. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა.

საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმების აგების „მოსწავლე სუბიექტის“ პარადიგმა ორიენტირებულია სწავლის პროცესზე, აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და სწავლის პროცესს განიხილავს როგორც ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელიც კვლავ თავად მოსწავლემ უნდა აწარმოოს.

- ✓ უცხოური ენები

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი წლიური გეგმა, რაც ცალსახად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში სწავლა სწავლების აქტიურ სუბიქტად აღიარებულია მოსწავლე, ხოლო მასწავლებელი წარმოდგენილია ფასილიტატორის როლში. წახალისებულია რეფლექსია შესრულებულ დავალებაზე. ამგვარად, მოსწავლე კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას, აქტიურდება პარადიგმის ხუთი ძირითადი პრინციპი.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

1. საშუალო საფეხურზე კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას, ისინი ხშირად ირგებენ სხვადასხვა როლს, მაგალითად, არქეოლოგის, მხატვრის, თარჯიმნის, ექსპერტის როლს, რაც იწვევს მათ ემოციურ კმაყოფილებას, ემპათიას, შინაგანი ძალებისა და მოტივაციის ზრდას.

ესთეტიკურ კათედრაზე საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის შემოფარგლული, თუმცა, კურიკულუმის შექმნის გამოცდილება მნიშვნელოვანია საშუალო საფეხურზე სწავლების წარმართვისთვის, რადგანაც პედაგოგმა და მოსწავლეებმა შეძლონ ცნებების, საკითხების და თემის სრულად დამუშავება, ისწავლონ კვლევის წარმოება, სწორად განსაზღვრონ შესაქმნელი პროდუქტი, მოახერხონ საინტერესოდ პრეზენტირება და იზრუნონ ინფორმაციის გაზიარებაზე. ამ მხვრივ მათ აქვთ გამოცდილება და ვფიქრობ ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

- ✓ სპორტი

1. სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე. შერჩეული სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

- ✓ სახელმწიფო ენა

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტმაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის-ძველი ქართული ლიტერატურა-შესწავლისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან ერთად, როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე-კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია. შენიშნეს, რომ ლიტერატურის გაკვეთილებზე ყოველთვის აქტიურდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება საეტაპო აქტივობებსა თუ საბოლოო დავალებებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ➢ **მათემატიკა**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საკითხი, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტმაგალითები (X კლასისათვის). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებით. აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში. აღნიშნეს, რომ ეს უნარები არის წინაპირობა სწავლის ხელსესაწყობად. კომპლექსური დავალებები უშუალოდ ავითარებს ამ 6 უნარს.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება ისეთი სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც დამუშავებულია ესგ-ს ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. კომპლექსური დავალებები შედგენილია ისე, რომ მისი განხორციელების პროცესში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად რაც მათ უვითარებთ შემოქმედებითობას.

გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მათგან თანამშრომლობის უნარებს მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.

- ✓ უცხოური ენები

2. საშუალო საფეხურის ინგლისური ენის სასწავლო პროგრამის ჰოლისტურად აღმწერი დოკუმენტი-კურიკულუმის ჩარჩო წარმოგვიდგენს რა კომპლექსური შინაარსის მქონე დავალებების იდეებს, რომლებიც ზუსტად ეხმიანებიან/ამუშავებენ ამავე საფხეურისა და საგნის გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებსა და შედეგებს) თავისუფლად შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ჩანს კორელაცია გრძელვადიან მიზნებსა და დანერგვის ინსტრუმენტებს შორის. საშუალო საფეხურის კურიკულუმში ინტეგრირებულია კომპლექსური ტიპის დავალებები. ყოველივე ეს გვიდასტურებს, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეებში უპირობოდ პოზიტიური გარემოს შექმნას. კერძოდ:

შემოქმედებითობა, როდესაც მათ უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან წერილი მომავლიდან, პოსტერი, პრეზენტაცია, ბროშურა თუ დღიური სხვადასხვა თემატიკაზე.

კრიტიკული აზროვნება - წარმოდგენილი მატრიცების მიხედვით, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს, რათა გაანალიზონ თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად. მისი შესრულების შემდეგ კი ისინი აფასებენ საკუთარ ნამუშევარსა და მასზე მუშაობის პროცესს, გამოყოფენ იმ ძლიერ და სუსტ მხარეებს რაც მათ ჰქონდათ, სტრატეგიებს რომლებიც იყო ეფექტური/არაეფექტური და მსჯელობენ იმ გზებზე რომლებიც სამომავლოდ მსგავსი დავალების უკეთ შესრულებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, იმისათვის რომ მოსწავლემ შეასრულოს ესა თუ ის კომპლექსური დავალება, მას სჭირდება გაანალიზოს რამდენიმე ასპექტი, დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს და შემდეგ შექმნას კონკრეტული პროდუქტი.

კომუნიკაცია - წარმოდგენილი კურიკულუმებით ირკვევა, რომ მოსწავლეებს უწევთ კომპლექსური დავალებების წარდგენა პრეზენტაციების თუ როლური თამაშის სახით, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ელემენტების შერჩევა იქნება ეს მეტყველების ტემპი, ინტონაცია, მახვილი თუ ჟესტიკულაცია. ასევე, ხელი ეწყობა ემპათიის უნარის განვითარებასაც, რადგან მოსწავლეები აკეთებენ თვით რეფლექსიას კომპლექსური დავალებების დასრულებისას და ასევე მისი განხორციელების ეტაპების დროსაც. სამიზნე ცნება „ჟანრი“ს დამუშავებისას მოსწავლეს უვითარდება როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

კოლაბორაცია - მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის საბოლოო პროდუქტის შექმნის და მათი გაზიარების იდეა, რომელიც მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ, იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა.
მოქალაქეობა - მოსწავლეებში მოხდება მოქალაქეობის უნარის განვითარებაზე ზრუნვა ისეთი კომპლექსური დავალების პირობის შესრულების დროს, როგორიცაა: პრეზენტაცია მომავლის ხედვებზე, ეროვნული იდენტობის პოსტერი, პრეზენტაცია თემაზე - როგორ ტირის დედამიწა და სხვა.

ხასიათი/ნებელობა - საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებას თვითრეალიზაციისთვის, მიზნების დასახვა და განხორციელება მოსწავლეებს უხდებათ დავალების შესრულებისას, როცა ისინი თავად ირჩევენ დავალების წარდგენის დროსა თუ ფორმას.

- ესთეტიკური აღზრდა

2. თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: სკოლის კურიკულუმი უნიკალურია, რადგან სკოლას აქვს საკუთარი განსხვავებული შესაძლებლობები და საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით შედგენილი კურიკულუმები სთავაზობს მოსწავლეებს თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. სკოლას გააზრებული აქვს შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). ესთეტიკური კათედრის საშუალო საფეხური პროექტული სწავლებით არის წარმოდგენილი და გათვალისწინებულია სავალდებულო თემების, საკითხების, ცნება/ქვეცნებების დამუშავება და პროექტის იდეის ჩამოყალიბება კონტექსტ მაგალითებზე დაფუძნებით. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

2. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ : გათვლილია სამიზნე ცნებების განვითარებაზე (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) , სტანდარტის შედეგებსა და გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე (6 უნარი). კურიკულუმით გათვალისწინებული თემების შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგი მოახერხებს სტანდართით გათვალისწინებულ რძელვადიან მიზანზე გასვლას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

3. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) დავალების პირობის მოდიფიცირების უნარი; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით. კათედრის წევრების განმარტებით, დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება, ერთსა და იმავე საკითხსა თუ ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა
- ✓ მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საჭიროების შემთხვევაში, რემედიაციას. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ ერთიდაიგივე საკითხსა და ცნებაზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ სკოლაში მუშაობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ისგ-ის მუშაობის ხარისხს და აკეთებს დასკვნას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ საშუალო საფეხურზე ჰყავს ორი სსსმ მოსწავლე. თუმცა მათთვის შემუშავებული ისგ არ არის წარმოდგენილი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისგ გეგმის შემუშავების გამოცდილება აქვთ და ის შეიქმნება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ასევე ირკვევა, რომ არსებობს რესურსოთახი, სადაც სპეცმასწავლებელი მათთვის

მორგებული რესურსებით ახორციელებს აქტივობებს. გარდა ამისა, სკოლა ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებზე და სწავლების პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსწავლის პროგრესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. სკოლას ჰყავს სსსიმ მოსწავლეები. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლას აქვს კომპიუტერების ოთახი, ბიბლიოთეკა. ყველა საფეხურის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში აღნიშნულ სივრცეებს, ეცნობან მეთოდურ ლიტერატურას პროფესიული განვითარების მიზნით. აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკა მათთვის მეორე სამასწავლებლოა. იქ აწყობენ კოლეგებთან შეხვედრებს. სკოლის პირველ სართულზე ფოიეში აქვთ სივრცე, სადაც აწყობენ ერთობლივი და საკლასო პროექტების პრეზენტაციებს. კედლებზე გამოკრულია ქიმია-ბიოლოგიის მასაწლებლის მიერ განხორციელებული პროექტების მასალები, კომპლექსური დავალების პროცესში მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი-პოსტერი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ბუნებისმეტყველების გაკვეთილი განახორციელა არაფორმალურ გარემოში-სკოლის გარეთ ტყე-პარკში, მოსწავლეებმა იქ არსებული მცენარეების ფოთლებით შექმნეს ჰერბარიუმი. პროექტმა მოსწავლეების კმაყოფილება გამოიწვია და მასწავლებელმა დასახულ მიზანსაც მიაღწია. შესაბამისად მასწავლებელი გეგმავს მომავალ წელს განახორციელოს იგივე სახით საგაკვეთილო პროცესი. უყვართ მრავალფეროვანი აქტივობები. ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში კედლებზე გამოფენილია მათი მუშაობის ამსახველი მასალები, მოსწავლეთა მიერ დამზადებული პროდუქტები. სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები. აქვთ

ლაბორატორიები, თვალსაჩინოებები, რომლებსაც იყენებენ მიზნობრივად. აღნიშნეს, რომ ასეთი ფორმით მუშაობა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე იყენებენ ელექტრონულ რესურსებს. პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ. ჰყავთ სსსმ მოსწავლეები და მათი შესაბამისი ისგ . მომდევნო წელსაც აგრძელებენ მათთან მუშაობას და შესაბამისად ახდენენ დავალებების შერჩევას განსაზღვრული თემის ფარგლებში.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. მასწავლებლები კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, გამოიყენონ მრავალფეროვანი რესურსები და აქტივობები. მასწავლებლები დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რომ შუალედურ მიზნებზე მუშაობისას აირჩიონ პროდუქტის მათთვის სასურველი ფორმა(ესსე, პოსტერი, პრეზენტაცია, კომიქსი ან სხვა).

- ✓ უცხოური ენები

  3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება, ასევე ზოგიერთ კომპლექსურ დავალებაში შეთავაზებულია პროდუქტის წარდგენის რამდენიმე ალტერნატივა (ვიდეოკლიპი, პოსტერი, PP პრეზენტაცია).

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

3. პროექტული სწავლებისას, კომპლექსური დავალებების პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას.

სკოლაში საშუალო საფეხურზე არის 2 სსმ მოსწავლე, მათთვის რიგ საგნებში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ამ ეტაპზე, ესთეტიკის კათედრას არ აქვს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტები, მაგრამ სკოლაში არსებული გამოცდილება მაძლევს საშუალებას ვიფიქრო, რომ მომავალში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რათა სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იყოს თითოეული მოსწავლის ინტერესი და შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- ✓ სპორტი

3. სკოლის თვითშეფასების კითხვარისა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად, ნათელია რომ სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, საგნის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. საგანში არაა ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე და შესაბამისად არ ჰქონდათ წარმოდგენილი ინდ. გეგმა, თუმცა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმაც გამოთქვე მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

- ✓ სახელმწიფო ენა

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართების გამოსაკვეთად მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიდან ასახელებენ ზეპირ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. აღნიშნავენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ექსპერტებმა გააცნეს ახალ სტანდარტზე დაფუძნებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათი შედგენის პრინციპი. ავტორიზაციის მომდევნო ეტაპზე, როცა შეიმუშავებენ დავალებათა პირობებსა და საეტაპო აქტივობების ინსტრუქციებს, იხელმძღვანელებენ სწორედ ამ შაბლონებითა და საგნობრივი სტანდარტებით, რათა შეფასების რუბრიკებში წარმოაჩინონ დავალების მოთხოვნებისა და სამიზნე ცნებების კავშირი.

მასწავლებელთა უკუკავშირი იძლევა საშუალებას, დაისკვნას,რომ კათედრა შეძლებს, ახალ საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით შეაფასოს მოსწავლეები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

6. სკოლის მასალებში არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურზე. თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ითვალისწინებს ,ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანების შესრულებას და ფარავს გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. როგორც სტანდარტით არის განსაზღვრული, წარმოდგენილი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის წევრებიც აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ხდება განმსაზღვრელი შეფასების მიცემა. ძირითადად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისა. გაგვიზიარეს აზრი, რომ მომავალი წლისთვის გეგმავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწას . აღნიშნე, რომ ყველა რუბრიკას მოარგებენ სტანდარტსა და კომპლექსურ დავალებებს .
უფრო ხშირად გამოიყენებენ განმავითარებელ შეფასებას, ვიდრე აქამდე. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც.
ძირითადად მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს უკუკავშის, თუმცა გამოიყენება თვითშეფასებაც.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისათვის.

- ✓ უცხოური ენები

4. უცხოური ენების კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშინაო და ტესტური დავალებებისთვის, პრეზენტაციისა და საგაკვეთილო მასალის ცოდნისა და გამოყენების შეფასებისთვის, რომელიც გვაჩვენებს , რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა სრულიად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აკვირდებიან პროცესს, ინიშნავენ მოსწავლეთა აქტივობებს და პერიოდულად აწვდიან უკუკავშირს, სადაც აღნიშნავენ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გამოსასწორებელი. უკუკავშირს უბრუნებენ კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში წარსადგენ პროდუქტთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

- ➢ ესთეტიკური აღზრდა

4. საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ითვალისწინებს განმავითარებელი შეფასებით ხელმძღვანელობას, რაც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; ამ ეტაპზე დოკუმენტაციაში არ იძებნება განმავითარებელი შეფასების რუბრიკა საშუალო საფეხურზე. პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროექტის მიმდინარეობის პროცესში ზეპირი ფორმით აძლევდა განმავითარებელ შეფასებას. ხელოვნების და მუსიკის პროექტული სწავლების სახელმძღვანელოებს დართული აქვს შეფასების რუბრიკები თემების მიხედვით და პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ეს რუბრიკები. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ➢ სპორტი

4. სკოლოის მიერ შედგენილია თემების მიხედვით შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურისათვის., რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. ისინი საჭიროებს დახვეწას, რადგან იყო მცირედი უზუსტობები., მასწავლებლებს მიეცათ რჩევები, რასაც გაითვლისწინებენ სამომავლოდ, მათ აქავთ მზაობა , იმისა , რომ მომდევნო შეფასების რუბრიკები ააგონ მიღებული რჩევის გათვალისწინებით. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

- ✓ სახელმწიფო ენა

5. კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს მოსწავლეების წინა სასწავლო წლის გამოცდილება, მათი საგნობრივი ცოდნა, თემებთან დაკავშირებული ინტერესები. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენია, როგორ ადგენს მოსწავლეთა ინტერესებსა თუ საჭიროებებს, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

7. მასწავლებლებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაზეც ისაუბრეს ინტერვიუს დროს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას ისინი ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ინტერესების და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრა გეგმავს მომდევნო წლის კურიკულუმს, რომელიც ეფუძნება წინარე ცოდნას და ორიენტირებულია შედეგის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავაშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს ითვალისწინებენ და მომავალ წელს შესაბამისად გეგმავენ იგივე თუ შენაცვლებული დავალებების განხორციელებას. არის კომპლექსურები, რომლებშიც ჩაამატეს მათი მოსწავლეების ინტერესების შესაბამისი აქტივობები,მისცეს მოსწავლეებს სხვადასხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოედგინათ პრეზენტაცია. ეს მოსწავლეების ინტერესს ზრდის. საკუთარ გამოცდილებებს განიხილავენ კათედრაზე, ჯგუფებში. არის შემთხვევები სხვა კათედრის წევრებთან თანაშრომლობისა, კერძოდ ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვის და ჩატარების მიზნით. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქმნის მომავალ კურიკულუმს.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

- უცხოური ენები

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები შეიქმნა კეთედრის წევრების თანამშრომლობითა და ჩართულობით, კურიკულუმის აგება მოახდინეს ისეთი თემების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებს წარმოადგენს. კათედრის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით ასევე განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შედგენა იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა წინა წლის პოგრამა, ხოლო, საკითხების შერჩევა იმავე კლასის სხვა საგნების თემატიკიდან გამომდინარე, რათა გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. სკოლას დამატებით დოკუმენტაციაში გამოგზავნილი აქვს შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი (რუსული ენა - მე-9 კლასი, სადაც მოცემულია მთლიანი კლასის საერთო შედეგები, რომელზე დაყრდნობითაც სახავენ გამოვლენილი სირთულეების გადაჭრის/ გაუმჯობესების გზებს. აღნიშნულ დოკუმენტში რუსული ენისთვის პრობლემად გამოტანილია

წერითი კომუნიკაცია. მასწავლებელმა საშუალო საფეხურზე გაითვალისწინა კომპლექსური დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია წერითი კომუნიკაციის ჟანრის (წერილი, სარეკლამო ბროშურა, დღიური) დამუშავებაზე.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

5. ვინაიდან პროექტული სწავლება გასულ წელს შევიდა საშუალო საფეხურზე, პირველად ახორციელებდა ხელოვნების საგანი. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს, რომ პროექტის შესრულებისას საორიენტაციოდ იყენებენ მეთოდურ სახელმძღვანელოს და ამუშავებენ მოცემულ საკითხებს. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- ✓ სპორტი

5. პედაგოგებთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის ნარატივით, ირკვევა, , რომ ისინი აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ მას კოლეგებს და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის შემდგომში დაგეგმვისას, ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნის მასწავლებლის ანგარიში;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- სასკოლო პროექტები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთვის;

- საშუალო საფეხურის შეფასების ინსტრუმენტები 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

- ✓ სახელმწიფო ენა

1. კურიკულუმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო თემები შერჩეულია მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც ერთ-ერთი სტრატეგიაა ბავშვის გააქტიურებისა და სასწავლო მოტივაციის გაზრდისთვის. მაგალითად, იაკობ

ხუცესის ,,შუშანიკის წამების“ შესწავლისას, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი მე-5 საუკუნისაა, მასწავლებლის თქმით, მან შეძლო, ისე წარემართა ტექსტზე მუშაობის პროცესი, რომ მოსწავლეებს თანამედროვე, მათთვის აქტუალური პრობლემები აღმოეჩინათ, რამაც ბუნებრივია, ხელი შეუწყო კლასის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოირკვა, რომ მოსწავლის მიერ დასმული ნებისმიერი შეკითხვა, აზრის თავისუფლად გამოხატვა, კრიტიკული დამოკიდებულება წახალისებულია და ჯანსაღი სასწავლო პროცესის მახასიათებლად აღიქმება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის გამრავალფეროვნებისა და დახვეწისთვის საჭიროა პროექტული ტიპის, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებების დამატება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

1. კათედრის მიერ წარმოდგენილი X კლასის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ანალოგიურად შეირჩევა კომპლექსური დავალებები XII კლასისათვის. პოზიტიური საკლასო კლიმატი კი იძლევა საშუალებას დაგეგმილი კურიკულუმების რეალიზება მოხდეს ისე, რომ მოსწავლე იყოს ცენტრალური სუბიექტი და შეძლოს გადმოსცეს, თავისი სიტყვებით ახსნას იდეები და გაეცნოს ახალ ინფორმაციას. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1.საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლების მიერ შექნილი კურიკულუმის განხორციელება მოხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების მიერ. აღნიშნეს: გრძელვადიანი მიზნის მიღწევა ხდება შუალედური მიზნებით კომპლექსური ხასიათის დავალებებით, შესაბამისად წინასწარ შერჩეულ დავალების პირობას ვაცნობთ მოსწავლეებს მათთვის ინტერესის გამომწვევ კონტექსტმაგალითზე დაფუძნებით, ეცნობიან ახალ ინფორმაციას, თითოეული მოსწავლე ამუშავებს მას , თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა აქტივობას და საბოლოოდ წარმოადგენს პროდუქტს, რომელიც ამ პერიოდში შექმნა მოსწავლემ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. ჩვენ, მასწავლებლები მათთან ერთად ვადევნებთ თვალს, ვუხსნით გზადაგზა, ვაძლევთ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი ბუნებისმეტყველების მიმართულებით, იყენებენ ბიბლიოთეკას, გარე სივრცეს, აქვთ გამოფენა ნამუშევრებისა და გეგმავენ მომავალშიც განახორციელონ მსგავსი აქტივობები.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის საშუალებას; როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ გარდა ფორმალური განათლებისა, კათედრაზე დანერგილია და ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებასაც. კურიკულუმის განხორციელების პროცესში საინტერესო აქტივობების წარმართვა და სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნა მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა. ცხოვრებისეული მაგალითების, პრობლემური სიტუაციების განხილვით მოსწავლე ეძებს სირთულეების დაძლევის გზებს, ამიტომაც ისინი შემოქმედებითად უდგებიან საკითხის შესწავლას;

- ✓ უცხოური ენები

1. უცხოური ენების კათედრამ, მომდევნო სასწავლო წლისთვის შედგენილ სამოქმედო გეგმაში სწავლების საშუალო საფეხურზე ზოგიერთი თემისთვის გაითვალისწინა კომპლექსური, ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომი პროექტული ტიპის დავალებები. წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგავრ სასწავლო გარემოში მოსწავლე, აქტიურ შემოქმედებით პროცესშია ჩართული.

✓ ესთეტიკური აღზრდა

1. პროექტული სწავლებისას მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები. სახვითი და გამოყენებითი საგნის პედაგოგის მიერ წარმოდგენილია განხორციელებული პროექტის გეგმა, ტრადიციული და არატრადიციული მასალის გამოყენება თანამედროვე ხელოვნებაში, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს უნდა მოეძიებიათ ინფორმაცია იმ ხელოვანების შესახებ, რომლებიც მუშაობდნენ ტრადიციული და არატრადიციული მასალითა და ტექნიკით, დაეწერათ ესსე, მოხსენება, შეექმნათ ნამუშევრები არატრადიციული მასალების გამოყენებით, მოეწყოთ ექსპოზიცია.

✓ სპორტი

1. 10-12 კლასის საშუალო ო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, რომ ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილი ფესტივალები სადაც ჩართული იქნება ყველა მოსწავლე. იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

✓ სახელმწიფო ენა

2. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი

დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

2. მიუხედავად იმისა, რომ X კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს ამ ეტაპზე არ ახლავს თემატური მატრიცები, ხოლო XII კლასისათვის არ არის შერჩეული კომპლექსური დავალებები, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება დაასკვნა ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესის ისე ორგანიზება, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ეს დაადასტურეს მასწავლებლებმაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. მომავალი წლის კურიკულუმების დაგეგმვაში ჩანს, რომ ყველა კომპონენტი გათვლილი და დაგეგმილია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, გამოცდილებაზე და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კონტექსტმაგალითები მოსწავლისათვის საინტერესო და ნაცნობი ფაქტს წარმოადგენს, რითაც მასწავლებელი ეცდება მეცნიერული კუთხით დაანახოს და გააზრებინოს წარმოდგენილი მოვლენა თუ პროცესი, მეცნიერული თვალით ჩაახედოს თითქოსდა მოსწავლისათვის კარგად ნაცნობ მაგალითში. პედაგოგებმა არნიშნეს, რომ კვლავ ცდილობენ გაამდიდრონ კურიკულუმის თემები შესაბამისი კომპლექსური დავალებებით.

იგივე პრინციპით, ანუ ნაცნობ საკითხზე დაფუძნებით ხდება სხვა კონტექსტმაგალიტების/მაგალითთები შედარებისთვის განხილვა და სხვადასხვა პროექტებზე მუშაობაც.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას; პედაგოგები კურიკულუმის თემატური დაგეგმვისას ითვალისწინებენ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებას და გააზრებას. ასევე კომპლექსური დავალების პირობის ფორმულირებისას შემოაქვთ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი.

- ✓ უცხოური ენები

2. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში შუალედური მიზნები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ იგი ცალსახად ეფუძნება მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი ცოდნის მარტივად და მოსწავლისთვის საინტერესო ავთენტურ კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე მოსწავლეს უწევს მისი ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, ანალოგის გაკეთება, ამის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნა და მისი ახსნა. შესაბამისად, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. განვიხილავ ერთ კონკრეტულ მაგალითს. რუსული ენის მე-12 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს ნაცნობ თემატიკზე დაყრდნობით პრეზენტაციის შექმნას, მოსწავლეებმა უნდა გაიმეორონ ნასწავლი ლექსიკა გარემოს დაცვის თემაზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საკითხები და შექმენას რესურსი (პოსტერი ან PowerPoint პრეზენტაცია), სადაც მოსწავლემ უნდა გამოიყენოს ნაცნობი ენობრივი საშუალებები და გამოავლინოს დამუშავებული ზეპირმეტყველების ჟანრი.

- ➢ ესთეტიკური აღზრდა

2. კათედრის მიერ წარმოდგენილი პროექტის აღწერიდან ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირებისას ითვალისწინებენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნაცნობ კონტექსტებს, წინარე ცოდნას და ინტერესებს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სასწავლო პროექტში ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთა და გრძელვადიან მიზანზე გასვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განმტკიცება. ვფიქრობ კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

✓ სპორტი

2. საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი , .პედაგოგეთან გასაუბრება და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით , ახლის დაშენებით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში აქამდე არ ახორციელებდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად გაწერილი კომპლექსური დავალებებით სწავლებას , თუმცა ისინი ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყოფენ შესაბამისი დავალებების მორგებას პროცესზე ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

✓ სახელმწიფო ენა

3. მასწავლებლების თქმით, მათ მიერ წახალისებულია მოსწავლის თვითრეგულირებული სწავლა, მაგალითად, მეტაკოგნიტური ფიქრი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება შესრულებული პრეზენტაცია პირობას, რა არის მკაფიო და ბუნდოვანი წარმოჩენილ ცოდნაში, გამოყენებულ სტრატეგიებში. მასწავლებლები მუშაობენ ისეთი სახის უკუკავშირის ფორმებზე (მოკლე რეფლექსია, თვითშეფასების კითხვარი, სადიაგნოსტიკი ტესტები), რომლებიც ავითარებს მოსწავლეთა მეტაკოგნიტურ უნარებს. კათედრების შეთანხმებით, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, შეფასების რუბრიკებს, სადიაგნოსტიკო ტექსტებს მოუყაროს თავი და მისცეს მოსწავლის პორტფოლიოს სახე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

✓ მათემატიკა

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შეთავაზებული

აქტივობები და რესურსები იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ამ უნარების გამომუშავებაზე მუდმივად ხდება შრომა. ყოველი დავალების ბოლოს დასმული შეკითხვები იძლევა საშუალებას მასწავლებელმა გააკეთოს ანალიზი რამდენად მოახერხა მაკროცნებების ამუშავება მოსწავლეში. წარმოდგენილი პედაგოგები გაკვეთილზე , სტემპროექტებზე და სასკოლო პროექტებზეც ცდილობენ ამ მიმართულებით იმუშაონ მომავალში. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებლები ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ შესრულებული აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების კავშირზე. ხშირად სვამენ კითხვას -როგორ გამოიყენებენ მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას დავალების შესასრულებლად.

- ✓ უცხოური ენები

3. კომპლექსური დავალებები, რომლის განხორციელება დაგეგმილია უცხოური ენების კათედრაზე შემავალი ყველა უცხოური ენისთვის, თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს თუ როგორ წარმართონ საკუთარი სწავლის პროცესი ეფექტურად და ეფექტიანად; წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნებითი პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა). სხვადასხვა ეტაპზე გათვალისწინებულია მსჯელობა შემდეგ მეტაკოგნიტურ კითხვებზე: რისი შესწავლა დაგჭირდება? რაში დაგჭირდება

დახმარება? რამდენად ეფექტიანად გამოიყენე საჭირო ენობრივი საშუალებები და არავერბალური ხერხები? რომელმა სტრატეგიებმა შეგიწყო ხელი წინსვლაში? რომელი სტრატეგიები დაგეხმარება უკეთესი შედეგის მიღწევაში? და სხვა.

✓ ესთეტიკური აღზრდა

3. პროექტული სწავლების სტრუქტურა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს დამოუკიდებლად შეუძლია დავალების პირობის განსაზღვრა, გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის გამოვლენა-მობილიზება. დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის დადგენა, სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების გათავისება, განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა.ხელოვნების მე-10 კლასის პროექტში ჩანს ისეთი იდეა, სადაც პედაგოგს და მოსწავლეებს დასჭირდებათ მრავალფეროვანი სტრატეგიების და აქტივობების შემუშავება დაგეგმილი დავალებების განსახორციელებლად, რაც მოსწავლეებს შესძენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესების საშუალებას. მოსწავლე თავად მოახდენს შესრულებული დავალების ანალიზს, მიიღებს სათანადო ზომებს საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; განსაზღვრავს დროის მენეჯმენტს, რაც სჭირდება დავალების შესრულებას და პრეზენტირებას. ამ შემთხვევაში კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

✓ სპორტი

3. კოლეგების მონათხრობით, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან საგანში აქამდე არ ჰქონდათ შესაბამისად გაწერილი კომპლექსური დავალებები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)

✓ სახელმწიფო ენა

4. გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს განახორციელეს რამდენიმე კომპლექსური დავალება, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებისთვის მუშაობას. სექტემბრამდე კურიკულუმის ჩარჩო

შეივსება სწორედ ამ ტიპის დავალებებით. სხვა შემთხვევაშიც, თემის შესწავლისას, სრულდება აქტივობები და ისმება ისეთი შეკითხვები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც ფაქტობრივი, ისე პირობისეული ცოდნის შეძენა-აღმოჩენას. შენიშნეს ისიც, რომ ლიტერატურული ტექსტის დამუშავება სხვაგვარად წარმოუდგენელია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- ✓ მათემატიკა

2. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ეს კარგად ჩანს კურიკულუმებში წარმოდგენილ კონტექსტმაგალითებსა და კომპლექსურ დავალებებში. ამას ადასტურებს ასევე, ინტერვიუ მასწავლებლებთან, რომლებიც ხედავენ რამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ისე წარმართვა, რომ მოხდეს მიღებული დეკლარატიული და პროცედურული ცოდნის გამოყენება ცხოვრებისეულ ინტერაქციაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. საბუნებისმეტყველო კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლოპროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას.

სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლასი არსებული რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ლაბორატორიაში და კომპიუტერების ოთახში. ლაბორატორიაში დამონტაჟებული არის სველი წერტილი , კედელზე გაკრულია უსაფრთხოების წესები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლობა არის პლაკატისა და საჭირო ხელსაწყოს გატანა საკლასო ოთახშიც. არ აქვთ სადემონსტრაციო მაგიდა, მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ცდის ჩატარების დროს რამოდენიმე მერხს მიადგამენ ერთმანეთს და ახდენენ ცდის დემონსტრირებას. ქიმიური რეაქტივები განთავსებულია ცალკე კარადებში . აქვთ ფიზიკის მოძრავი ლაბორატორია. ძირითადად ხდება გაკვეთილზე საკლასო ოთახში გატანა საჭირო რესურსისა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. კომპლექსურ დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში შემუშავებული კომპლექსური დავალებები ამ მიმართულებითაც გაუადვილებს მასწავლებლებს მუშაობას;

- ✓ უცხოური ენები

4. უცხოური ენის კათედრის მიერ შერჩეულ ძირითად რესურსზე (გრიფირებული სახელმძღვანელოები), წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოზე, კომპლექსური ტიპის დავალებებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა თავში, მოსწავლე ჯერ ამუშავებს ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციებს როგორც სახელმძღვანელოდან, ასევე სხვა მითითებული წყაროებიდან (დეკლარატიული ცოდნა), შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე მაგალითებს (პირობისეული ცოდნა) და იწყენებ ფიქრს იმაზე, თუ სად და როგორ გამოიყენონ ცოდნა (პროცედურული ცოდნა), რაშიც მათ თავისდაუნებურად კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტზე მუშაობის ეტაპი ეხმარება.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

4.საგნობრივ პროგრამებში, კერძოდ კი წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, კარგად არის ასახული, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მოსწავლემ საკუთარი ცოდნა უნდა ასახოს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობი, რეალურ ცხოვრებისეულ მაგალითთან მიახლოებულ კონტექსტში, გააკეთოს ნაშრომის პრეზენტაცია და რეფლექსია.

ხელოვნების პედაგოგის მიერ წარმოდგენილ პროექტში გაწერილია და წარმოდგენილი ფოტოებით ნაწილობრივ მტკიცდება, რომ მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას, როგორ გამოიყენება არატრადიციული მასალა და ტექნოლოგიები ხელოვნებაში, იმყოფებოდნენ ციფრულ მუზეუმში, რომლის შემდეგაც შექმნეს ნამუშევრები არატრადიციული, მეორადი

გამოყენების მასალების გამოყენებით. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ აქცენტი გაკეთებულია ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისკენ. შესაბამისად კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

✓ სპორტი

4. პედაგოგებთან გასაუბრებისას აისახა, რომ, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის ცოდნის სამივე კატეგორიაზე გაყვანასა (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) და შესაბამისი უნარების განვითარებას. ამის დამადასტურებლად , კომპლექსური დავალება არ გვაქვს, რადგან სკოლა საგანში სწავლებას აქამდე არ ახორციელებოდა შესაბამისად გაწერილი კომპლექსური დავალებებით . ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

✓ სახელმწიფო ენა

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება კომპლექსური დავალება და სასწავლო პროექტები. ტექსტის გაგება-გააზრებისთვის საჭირო ცოდნა, მისი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მახასიათებლები, სათქმელის გამოხატვის საშუალებები, გრამატიკული საკითხები-მასწავლებელთა მსჯელობის მიხედვით, სხვადასხვა ცოდნაა, სხვადასხვა აქტივობით მუშავდება და საბოლოო პროდუქტში ერთიანდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

✓ მათემატიკა

3. მხოლოდ კურიკულუმებზე დაყრდნობით ძნელია განსაზღვრო რამდენადაა უზრუნველყოფილი სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თუმცა ინტერვიუზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში და სასწავლო

პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

5. შეიძლება ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ შექმნილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- ✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

5. კომპლექსური დავალების ტიპები და აქტიური სწავლების მეთოდი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშრებას, ფუნქციური კონტექსტების გააქტიურებას.

- ✓ უცხოური ენები

5. უცხოური ენების კათედრის მიერ შედგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები ისე, რომ გამარტივდეს საგანთა შორის ინტეგრაცია. ასევე, შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მოცემულ თემატურ ერთეულებში გათვალისწინებულია ინტეგრირებული თემები. კერძოდ: გარემო, ეკოლოგია, ტექნოლოგიები, ხელოვნება, ისტორია, მეცნიერება და სხვა. დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ასევე უხდება საკუთარი მოსაზრების დასაბუთება, სხვისი მოსაზრების გათვალისწინება, გამოსავლის ძიება, რაც მას ცოდნის ორგანიზების გამოცდილებას სძენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგალითებიდან ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება

ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, იმდენად რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლის მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად.

- ✓ ესთეტიკური აღზრდა

5. პროექტებით სწავლება და ზოგადად სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას, გამოწვევებთან გამკლავებისა და პროდუქტის შექმნისას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნას. პროექტებით სწავლება იძლევა ცოდნათა ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას და მოსწავლეს აძლევს ფიქრის საშუალებას, გამოყოს პრობლემა და თავი მოუყაროს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კრიტერიუმი **აკმაყოფილებს** სტანდარტს.

- ✓ სპორტი

5. ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, სადაც არის როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მოიმართულება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები;
- დანართი # 4.1 საბაზო საფეხურის კურიკულუმი

- პროექტი და მისი ამსახველი ფოტო მასალა
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- სასწავლო პროექტები
- ისგ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
3. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
4. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

✓ სახელმწიფო ენა

1. საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით, ყოველდღიური სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს. ამ ეტაპზე ყველა სასწავლო თემისთვის არ არის განსაზღვრული, რა ტიპის აქტივობებითა და დავალებებით დაიფარება სამიზნე ცნებები, თუმცა აღწერილი ნაწილი ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით, რეალისტური და დამაჯერებელია. ვიზიტის დროს კათედრის წევრებმა თავადვე აღმოაჩინეს მცირე ხარვეზები თავიანთ კურიკულუმში და მათი გამოსწორების სტრატეგიასაც იქვე მიაგნეს, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

✓ მათემატიკა

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (X, XII კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და განზოგადებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

1. კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე ის კომპლექსური დავალებები, რომელიც განხორციელებული აქვთ თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისად და რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ მომავალ სასწავლო წელს. მომავალში გეგმავენ კიდევ შეარჩიონ კომპლექსური დავალებები თემებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი, რომლებშიც მოსწავლეთა საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

✓ საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული. მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები.

✓ უცხოური ენები

1. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმში წარმოდგენილია მესამე თაობის ე.ს.გ. გრძელვადიანი მიზნების მიხედვით გაწერილი შუალედური მიზნები. შესაბამისად, შემოთავაზებული აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლე მივიდეს განზოგადებამდე, მოახდინოს დანაწევრებით მიღებული ცოდნის გამთლიანება და ნასწავლ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს მკვიდრი წარმოდგენები საგნის გრძელვადიანი მიზნებთან (შედეგებისა და სამიზნე ცნებების) მიმართებით. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონრეტულ საკითხს, მაგალითად, ისტორიასთან და მოქალაქეობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული და მომავალი დროის ფორმები, წერილისა და დღიურის წერა, ბროშურის შექმნა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები და ა.შ. წარმოდგენილი კურიკულუმით დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე ყველა კლასში მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება: ჟანრი,

სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები, ხოლო კულტურათა დიალოგი იშვიათად გვხვდება. სასურველია საშუალო საფეხურზე მეტად დამუშავდეს სამიზნე ცნება „კულტურათა დიალოგი“

✓ ესთეტიკური აღზრდა

1. წარმოდგენილი კურიკულუმიდან, რომელშიც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

➢ სპორტი

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით (ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩობი). სასწავლო პროცესი ისეთი მიდგომითაა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს, დავალების პირობას და შემდეგ წინარე ცოდნაზე ხდება ახალი ცოდნის შენებას თანმიმდევრობით. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს გაუდვილოებს ახალი აქტივობების გააზრებას და შესწავლას. თუმცა არ იყო წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ამის დასტურად, რადგან აღნიშნეს რომ აქამდე არ ახორციელებდნენ პროცესს სათანადოდ გაწერილი კომპლექსურებით. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას

✓ სახელმწიფო ენა

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თემები-პიროვნული პრინციპები, თავისუფალი არჩევანი, უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა ოჯახისა და ქვეყნის წინაშე და ა.შ, და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული

კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება ამ თვალსაზრისით კათედრა ხაზს უსვამს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

2. მხოლოდ კურიკულუმებზე დაყრდნობით მნელია, თუმცა ინტერვიუს შედეგად შეიძლება თქვა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

2. წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსიმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტურო, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.
დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

2. საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

- უცხოური ენები

2. უცხოური ენების სამოქმედო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკითხების შერჩევისას და სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აქცენტი კეთდება არა მარტო ცოდნის მიწოდებაზე, არამედ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენების სტანდარტით გათვალისწინებულ თემატური ბლოკებში შემოთავაზებული თემები, მუშავდება ავთენტური შინაარსის მქონე შუალედური მიზნებში/კომპლექსური ტიპის დავალებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. მაგ: მეცნიერის დღიური, პრეზენტაცია ეკოლოგიის თემაზე, პოსტერი ეროვნულ იდენტობაზე და სხვა.

- ესთეტიკური აღზრდა

2. თვითშეფასების კითხვარში გვხვდება ჩანაწერი, რომ იგეგმება ისეთი აქტივობები, რომლებიც საკვანძო კომპეტენციებზე ორიენტირებას გულისხმობს. არაფორმალური განათლების კუთხით გაწერილი პროექტების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უვითარდება უნარები, პატივი სცეს სხვის პოზიციას, გამოხატოს ემპათია, ამოიცნოს და მართოს საკუთარი ემოცია და გააკეთოს ეთიკური არჩევანი. პროექტებით სწავლება ესთეტიკური მიმართულების საგნებში, ემსახურება მოსწავლის ფსიქო-ემოციური, სოციალური, შემოქმედებითი, კრიტიკული უნარების განვითარებას.კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

2. პედაგოგოებთან გასაუბრების შედეგად ვლინდება რომ, საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები, მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც (ამას თვითშეფასების ფორმაც ადასტურებს) და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი

უზრუნველყოფს ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს ,აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

- სახელმწიფო ენა

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცონობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

3. სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების ტაქსონომია. კომპლექსური დავალების შეფასება ხორციელდება სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, ახლა კი გამოიყენება განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

3.საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას არჩეული აქვს მეორე მოდელი გამსაზღვრელი შეფასებისაა. წარმომიდგინეს რამდენიმე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა . აღნიშნეს , რომ გეგმავენ კვლავ შექმნან რუბრიკები. ამით ისინი მოახერხებენ შემაჯამებელი ქულების დაწერას. ხშირად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას. ის ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ზეპირ ფორმას იყენებდნენ დღემდე, თუმცა საჭიერო დროს გააკეთებენ წერილობითი ფორმითაც. დაწყებული აქვთ სოლო ტაქსონომიის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების ცხრილების შექმნა. აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებით უნდა მოახერხონ მოსწავლის პიროვნული განვითარება. **დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

3. განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა.

- უცხოური ენები

3. მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლებიც ვალიდურია სავარაუდო კომპლექსური ტიპის დავალებისა და ახდენს მოსწავლის მიღწევების დეტალურ ანალიზს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. ასევე, ყველა კომპლექსური ტიპის დავალებების წარდგენის შემდეგ მოსწავლისთვის დასმული კითხვები საკუთარი მუშაობის პროცესის გასიტყვებისთვის ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

- ესთეტიკური აღზრდა

3. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სახელმძღვანელოში. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ პროექტული სწავლებისას კათედრა ხელმძღვანელობს სასწავლო წიგნებში მოცემული განმავითარებელი

შეფასების რუბრიკებით, თითოეულ პროექტის იდეასთან მიმართებით და აძლევს ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. ვფიქრობ **კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.**

- სპორტი

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურითვის თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდა და სპორტში განმავითარებელი შეფასებად აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარებიც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

- სახელმწიფო ენა

4. კათედრის წევრების თქმით, სასწავლო წლის დასაწყისში შეფასების სისტემის შემუშავებისას განსკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ დაცული იყოს სამართლიანობის, სანდოობისა და გამჭვირვალეობის პრინციპი. ამისათვის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესში. მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს, რომ შერჩეული ინსტრუმენტები შეესაბამებოდეს მიზანს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს; იყოს სანდო, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თანასწორობას, მკაფიოდ, ბავშვისთვის გასაგებ ენაზე ფორმულირებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების კრიტერიუმები თვალსაჩინოდაა გაკრული საკლასო ოთახებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

4. საბაზო საშუალო არ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და ძნელია დაასკვნა რამდენად არის შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ის სრულ

შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ასევე აღნიშნეს, რომ აგრძელებენ ერთობლივად მუშაობას თითოეული თემისათვის შეფასების რუბრიკების შექმნასა და დახვეწაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

4. პედაგოგებს აქვთ კურიკულუმები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები. კვლავ აგრძელებენ მუშაობას. შეფასების რუბრიკაში ასახულია რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. არის შერჩეული შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში. აქედან ჩანს, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. გასაუბრებიდან ნათელია, რომ მოსწავლეებს აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებმა უნდა შეეძლონ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი მათი სწავლის პროცესში მიზანთან მიმართებით. პედაგოგები გეგმავენ შექმნან დახვეწილი, მკაფიო და არაორაზროვანი შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის.

დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

4. მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.

- უცხოური ენები

4. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. ასევე, წარმოდგენილი სანიმუშო განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლეების შეფასებას პრეზენტაციისას, საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ იმ კონკრეტული საკითხთა

კლასტერისთვის, რომელსაც ის ერთვის, შეფასება არის ვალიდური და გამჭირვალე. სკოლა განმსაზღვრელ შეფასებას იყენებს მიმდინარე საკლასო და საშინაო, ასევე შემაჯამებელი დავალებებისათვის. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ რუბრიკები შემუშავებულია წინასწარ, მოსწავლეთა ჩართულობით და გამოკრულია კლასში თვალსაჩინო ადგილას.

- ესთეტიკური აღზრდა

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, პედაგოგებმა შეიმუშავონ კონკრეტული კლასის მზაობისთვის შესაფერისი შეფასების რუბრიკები, თუნდაც სახელმძღვანელოს შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია**.

- სპორტი

4. საგნის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა და კათედრის დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის დახვეწა, ახალი რუბრიკების შექმნა შერჩეული თემების მიხედვით, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

- სახელმწიფო ენა

5. მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის

მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. ირკვევა, რომ სკოლა ამ მიმართულებით დააკვალიანებს კათედრებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- **მათემატიკა**

5. როგორც თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა, ამ ეტაპზე სკოლაში ვერიფიკაცია გამოიყენება განხორციელებული შემაჯამებელი დავალებების შეფასების მიხედვით. „შემაჯამებელი დავალების ანალიზი განხორციელებული შეფასების მიხედვით გვაწვდის ინფორმაციას კლასის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, რომელ მისაღწევ შედეგზე გადის, რა არის ამ შემაჯამებელ სამუშაოების დაგეგმვაში, ჩატარებაში და შეფასებაში გასაუმჯობესებელი და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.“ - წერია თვითშეფასების ფორმაში, რომელიც ასევე დაადასტურეს მასწავლებლებმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

5. იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება.

- სპორტი

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმები და საგნის პედაგოგებთან ინტერვიუდანაც ჩანს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა გეგმავს სასკოლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები შემდგომშიც აქციოს წერილობით დოკუმენტად, რომელშიც გაიწერება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მეთოდოლოგია. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის საქმისწარმოების წესი (მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი) ითვალისწინებს მოსწავლის შეფასების ამსახველი ყველა დოკუმენტის შენახვას სკოლაში 3 წლის ვადით . პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- კურიკულუმის ჩარჩო 2022-23 ს/წ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სასწავლო პროექტები
- ისგ
- მასწავლებლის პორტფოლიო;
- შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

- **სახელმწიფო ენა**

1. სასწავლო პროცესში არსებულ მხარდაჭერასა და მიმღებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტორები: ა) კათედრის ყველა წევრი ერთობლივად წარმოადგენდა სკოლას და იცავდა სკოლის ინტერესს ინტერვიუს მიმდინარეობისას; ბ) კურიკულუმი შემუშავდა საერთო ძალისხმევით, რაც გამოიკვეთა მასწავლებელთა უკუკავშირით. აღნიშნეს, რომ სკოლის დირექტორი თავად არის კონსტრუქციული ლიდერის მაგალითი და მათი მხარდამჭერი. ის ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების იდეები მიმართ, წაახალისებს მათ ჩართულობას სკოლის განვითარებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

- მათემატიკა

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ქმნის ნაყოფიერ სივრცეს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. თანამშრომლობითი ურთიერთობები კათედრებსა თუ არაფორმალურ გარემოში და გამოცდილებების გაზიარება პრიორიტეტია მათი საქმიანობის პროცესში. ეს კი ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

- საზოგადოებრივი მეცნიერებები

1. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, ხელშეწყობილია მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო შექმნა, კერძოდ, როგორც სასკოლო, ასევე საკლასო გარემო ყველა მოსწავლისათვის არის პოზიტიური, თანამშრომლობითი და მეგობრული. იგეგმება უფრო მრავალფეროვანი აქტივობები და პროექტები, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი უნარების განვითარებაში, სასწავლო პროცესი კი უფრო პოზიტიური და მეგობრული იქნება.

- სპორტი

1. სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან ნათელია თვითეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ კოლეგები, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის აღნიშნული გარემოს შექმნას , ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებს, გარემო ფაქტორებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს. (დასტურდება შედგენილი და წარმოდგენილი კურიკულუმებით), რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

- ესთეტიკის კათედრა

1. განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები, აქტივობები გვაძლევს იმის საშუალებას ვიფიქროთ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. კრიტერიუმი **დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად**

2. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის პიროვნულ და ემოციურ განვითარებაზე, სოციალური უნარების გამომუშავებაზე, საგნობრივი საკითხების საფუძვლიან ანალიზზე; კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები,

ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი კულტურა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

3. კათედრის წევრებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობით. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობა მიმდინარეობს როგორც ფორმალურ, ისევე არაფორმალურ გარემოში, აქტიურად ზიარდება გამოცდილება. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, ურთიერთდასწრებებსა და უკუკავშირის გაცემა-მიღებას. ტარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე, კონფერენციებზე ინტერნეტ სივრცეში, საგანმანათლებლო პერიოდულ გამოცემებში მოპოვებულ ინფორმაციასა და ინოვაციებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

4. სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას. კათედრამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დირექცია ხელს უწყობს უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. **ამდენად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები და რუბრიკები;
- კათედრებს დებულება.
- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;

- კათედრის ოქმები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. კათედრა მზადაა, სკოლის საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით, სრულყოს და განავითაროს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში ბრძანებით შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლეიც მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესს და ეფექტიან უკუკავშირს აძლევს მასწავლებელს. სასკოლო კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგისათვის კათედრა 2023-2024 სასწავლო წლიდან აპირებს ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს საფუძველზე იმუშაოს. სასწავლო წლის განმავლობაში მოხდება პროცესების მონიტორინგი და შეფასება. საბაზო საფეხურის თითოეული

მასწავლებელი მომავალი სასწავლო წლიდან განახორციელებს დაკვირვებას კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

2. კათედრის წევრების მიერ გაზიარებული ურთიერთდასწრების პრაქტიკა იმის მაგალითია, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მონიტორინგს არ აღიქვამენ დასჯის მექანიზმად. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მიზანი სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერაა, რაც გამოიხატება სამი საკვანძო მიმართულებით: ანგარიშვალდებულება, მიღწევა და დაგეგმვა. როგორც პედაგოგები აღნიშნავდნენ, კათედრას აქვს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა უკუკავშირის გამოცდილება. მომავალი წლიდან იგეგმება ურთიერთდასწრების პრაქტიკის კიდევ უფრო გააქტიურება; კათედრაზე მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება ახალი დაკვირვების ფორმის შემუშავება, რომლის გამოყენება ხელს შეუწყობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

3. მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ ხდება სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა. გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი

კურიკულუმის შედგენისას. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას. რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. (კათედრის ოქმები, დასწრების ფორმები,). ინდიკატორი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასწავლო ჯგუფების ანგარიშები;
- კათედრების ოქმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

1. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება), მასწავლებელთა თქმით, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ეტაპზე იყენებენ სხვადასხვა ინსტრუმენტს, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი, თუმცა ფიქრობენ, რომ ამ მხრივ პრაქტიკას დახვეწენ და გაუმჯობესებენ ახალი კურიკულუმის დანერგვის

პარალელურად.როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, შემაჯამებელი წერები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, კითხვების დასმა;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

2. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მართალია, მეტწილად ზეპირი განმავითარებელი კომენტარით აღიწერება მოსწავლეთა ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით, მასწავლებლებს ესმით, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას და ამ მოთხოვნას უნდა უპასუხოს მათმა საგნობრივმა კურიკულუმმაც. კათედრა იყენებს შეფასების სხვადსხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დავგეგმოთ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

3. მოცემულ ეტაპზე მოსწავლეები ფასდებიან შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით, თუმცა მომავალი სასწავლო წლისთვის კათედრა ალტერნატიულ ინსტრუმენტებად განიხილავს ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფს, თვისებრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

4. კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. აცნობიერებს, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციური უნარ-ჩვევები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- წლიური სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

1. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია არა მარტო სახელმწიფო ენის კათედრა, არამედ მთელი სასკოლო საზოგადოება. სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, გამოკვეთენ ტიპურ ხარვეზებს, ხვეწენ საეტაპო აქტივობებსა და კომპლექსური ბუნების დავალებებს. იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

2. კათედრის წევრები გეგმავენ, კურიკულუმის დანერგვის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შექმნან გადამუშავებული ვერსია. პროცესს მონიტორინგს გაუწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. წინარე გამოცდილების გათვალისწინება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა და არსებულ კურიკულუმშიც ასახულია წინა სასწავლო წლის მიგნებები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

21.09.2023
თარიღი